# საკვანძო კომპეტენციები

N2. 2024

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 2960-9895

რესურსები შექმნილია პროექტის „საქართველოში მცხოვრები ლტოლვილი მოსწავლეებისთვის სახელმწიფო ენის სწავლებაზე ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა“ ფარგლებში.

პროექტის მხარდამჭერები: The UN Refugee Agency
World Vision
გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ქართული ენის სამყაროში! ეს წიგნი სპეციალურად შექმნილია საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეებისთვის და ერთგვარ ხიდს წარმოადგენს მათთვის მდიდარი ქართული კულტურულ-ენობრივი ლანდშაფტისაკენ.

ქართულის სწავლა ყოველდღიურ ცხოვრებაში უკეთესად ინტეგრირების შესაძლებლობას მისცემს თითოეულ მოსწავლეს და გზას გაუხსნის ახალი ურთიერთობებისა და ახალი მეგობრებისაკენ.
ეს რესურსი შექმნილია იმისათვის, რომ სწავლის პროცესი სასიამოვნო და ხელმისაწვდომი გახადოს, ნაბიჯ-ნაბიჯ გაუღვივოს მოსწავლეებს ქართული ენისადმი ინტერესი.

ყოველი კურსი მსმენელს სთავაზობს პრაქტიკულ ლექსიკას, სახალისო  სავარჯიშოებს და საინტერესო ისტორიებს საქართველოს წარსულისა და აწმყოს შესახებ.

წიგნთან ურთიერთობისას მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ ახალი ენის სწავლა უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ სიტყვებისა და ფრაზების ათვისება.  ეს არის მოგზაურობა ახალი კულტურის წიაღში.
რაც შეეხება პროექტის მნიშვნელობას, ის ძალიან აქტუალურია საქართველოში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეებისთვის, რათა მათ შეძლონ სრულფასოვანი ინტეგრაცია საზოგადოებაში.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორი ბერიკა შუკაკიძე

## საკვანძო კომპეტენციები

N2. 2024

გამომცემელი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი



**სარედაქციო კოლეგია**

**ბერიკა შუკაკიძე**
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

**მანანა ჯინჭარაძე**
არაფორმალური განათლების ქვეპროგრამის კონსულტანტი

**ნინო სადრაძე**
სსიპ აკაკი სურგულაძის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლის დირექტორი

**მაკა თოლორდავა**
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალაბასთუმნის საჯარო სკოლის ქიმიის მენტორი მასწავლებელი

**ნარგიზ ჯინჭარაძე**
ქობულეთის #5 საჯარო სკოლის დირექტორი

**ცირა ქობულაძე**
ბათუმის #16 საჯარო სკოლის დირექტორი

**ნინო ხუციძე-კაშია**
სსიპ თბილისის #32 საჯარო სკოლის დირექტორი

**ირინა მელქაძე**
სსიპ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ რუსთავის #16 საჯარო სკოლის დირექტორი

**მორის დანდურიშვილი**
სსიპ ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი

**შორენა შიუკაშვილი**
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კარიერული დაგეგმვის სპეციალისტი



**საკონტაქტო ინფორმაცია:**
ტელ.: +995 (32) 2 200 220
ელ.ფოსტა: info@tpdc.ge
მისამართი: თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6



მთავარი რედაქტორი
**ანი კუდუხაშვილი**

კორექტორი
**მაია წიკლაური**

დიზაინერი
**მარიამ ელიზბარაშვილი**

ISSN 2720-8621



ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი



WWW.TPDC.GE


# სარჩევი


**01** **რედაქტორის სვეტი** 4

**02** **დეკანოზი მურამ ჭარელაშვილი**
ინტერვიუ 5

**03** **დათია ბადალაშვილი**
ტექსტი და მკითხველი 7

**04** **იოსებ ლაზარაშვილი**
როგორ გავაუმჯობესოთ წიგნიერების დონე სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტების დახმარებით 11

**05** **თეა კეკელიძე**
ვიზუალური წიგნიერება 15

**06** **ქეთი ჯოლბორდი**
დაინახე, რასაც კითხულობ - ანუ წარმოსახვის რიტუალი 20

**07** **მარეხ მაზანაშვილი**
STEM სწავლების როლი რაოდენობრივ წიგნიერებაში 22

**08** **მაია ჩამუნავა**
ფინანსური წიგნიერება 27

## ანი კუდუხაშვილი

*მთავარი რედაქტორი*
*არაფორმალური განათლების პროგრამის მენეჯერი*

ძვირფასო მკითხველო,

მოხარული ვართ, წარმოვადგინოთ თქვენ წინაშე ჩვენი ჟურნალის შემდეგი ნომერი, რომელიც სრულად ეძღვნება წიგნიერებას.
წიგნი და კითხვა ყოველთვის იყო საზრდო ადამიანის ცნობიერებისა და გონებისათვის და  უნიკალური შანსი - მისი პიროვნული ზრდისა და განვითარებისათვის.

ჩვენი მიზანი კი არის და იქნება წიგნიერების განზომილების კიდევ უფრო გაღრმავება და  თქვენთვის ბევრი სიახლის მოწოდება ამ მიმართულებით.

წიგნიერება მრავალპერსპექტიული მოვლენაა, რომელიც მოიცავს როგორც ინდივიდუალურ გამოცდილებას, ისე კულტურულ, სოციალურ და ისტორიულ მახასიათებლებს. ჩვენ ვცდილობთ, გავამახვილოთ ყურადღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა წიგნიერების როლი განათლებასა და კულტურაში, მისი გავლენა პიროვნულ ურთიერთობებზე და თანამედროვე საზოგადოების გამოწვევებზე.

პირველ რიგში, წიგნიერება, როგორც საკვანძო კომპეტენცია, მოიცავს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც ადამიანს სჭირდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი და ეფექტური მონაწილეობისათვის. და ეს  არ არის მხოლოდ კითხვა და წერა. წიგნიერება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპეტენციაა, რომელიც ემსახურება პიროვნულ და ინტელექტუალურ განვითარებას, ადამიანის მიერ გარემოს გაცნობასა და სამყაროს აღქმას, ასევე, მის შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებას.

დღევანდელ სამყაროში წიგნიერება აერთიანებს სხვადასხვა უნარს, რომელთა მეშვეობით ადამიანი შეძლებს წარმატებით მუშაობას, სწავლა/სწავლებას და განვითარებას სხვადასხვა კონტექსტში. ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და სოციალური ინტერაქციებისათვის.

ჩვენი ჟურნალი არაერთხელ გამოეხმაურა და კვლავაც გამოეხმაურება გააზრებული წერა-კითხვის, კრიტიკული აზროვნების, ციფრული, მედია, რაოდენობრივი, ეკონომიკური წიგნიერების პრობლემებს და სხვა მრავალფეროვან თემატიკას.

წიგნიერება, როგორც საკვანძო კომპეტენცია, თანამედროვე ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წიგნიერება არის არა მხოლოდ განათლება, არამედ ცხოვრების წესი და სისტემური ხედვის განვითარების პროცესი. წიგნიერება უზრუნველყოფს პოტენციალს, რომ ადამიანი გახდეს ეფექტური, შემოქმედებითი,  პასუხისმგებლობის მქონე და კრიტიკული, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც მის პიროვნულ წარმატებაში, ისე ფართო საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევაში.

მოხარული ვიქნებით, თუ ჩვენი ჟურნალი კვლავაც გაგიწევთ მეგზურობას ამ სამყაროში.

## დეკანოზი გურამ ჭარელაშვილი

*საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე*

1) „სადაც არის საუნჯე თქვენი, იქვე იქნება გული თქვენი“ (მათე 6,21), - გვასწავლის მაცხოვარი. სადაც (ან რაც) არის შენი ღირებულება, იქ იქნება გული შენი... ვფიქრობ, მთავარი ღირებულება, რაც ქრისტიანობამ მოიტანა სამყაროში, ეს არის ადამიანი, რომელიც შემოქმედთან სინერგიით (ბერძ. synergy, synergeia - თანამეგობრობა, თანამშრომლობა, თანამოქმედება, საერთო ძალისხმევით წარმოქმნილი თანამშრომლობა ღმერთსა და კაცს შორის) მუდმივად ცდილობს საკუთარ თავთან, სხვა ადამიანთან, ღმერთთან და, საერთოდ, სამყაროსთან ჰარმონიული ურთიერთობა დაამყაროს. სწორად წარმართული ურთიერთობები კი სასარგებლო ხდება ყველასთვის - როგორც პიროვნებისთვის, ასევე საზოგადოების კეთილდღეობისთვის.

2) უმთავრესია ქრისტიანული ხედვა, როგორც ღირებულება, რომელიც სამყაროში განკაცებულმა „სიტყვამ“ (ლოგოსმა) - ღმერთმა, იესო ქრისტემ მოიტანა და ამ სიტყვის შემეცნებისა და ჩვენს ცხოვრებაში გატარებისკენ მოგვიწოდა. ის ჩვენს აქტიურობას, მოქმედებას გულისხმობს და არ კმაყოფილდება მხოლოდ ძველი აღთქმის მცნებებით, რომლებიც, თავის მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია, მათ შორის, „არა კაც კლა, არ იმრუშო, არ იპარო“ და ა.შ.. ახალი აღთქმა ადამიანს ადამიანებისთვის სიკეთის საკეთებლად აღძრავს და მოუწოდებს: „როგორც თქვენ გსურთ გექცეოდნენ კაცნი, თქვენც ასევე მოექეცით მათ, ვინაიდან ესაა რჯული და წინასწარმეტყველნი“ (მათე 7, 12.).

3) თუ წარმართულ სამყაროში ადამიანი სიმდიდრით ფასდებოდა, ქრისტემ თავის მოციქულთა შორის ღარიბ მეთევზეებსა და მდიდარ (იოსებ არიმათიელი) მოხელეებს თანაბრად მისცა ადგილი, რითაც მნიშვნელობა მიანიჭა არა სიმდიდრესა და სიღარიბეს, არამედ მართებულ დამოკიდებულებას შემოქმედისადმი, სხვა ადამიანისა და მის მიერ შექმნილი სამყაროსადმი. თუ ქრისტემდე ქალს, როგორც ნივთს, ისე უყურებდნენ, მის აზრს არავინ ითვალისწინებდა, მაცხოვარმა ქალები (მარიამ ღვთისმშობელი და მენელსაცხებლე დედები) წინ წამოსწია, სულ გვერდით ჰყავდა (მოციქულებამდე პირველად მათ გამოეცხადა მკვდრეთით აღმდგარი უფალი). ბავშვებზე კი სახარებაში ვკითხულობთ: „მიჰგვარეს მას [ქრისტეს] ბავშვები, რათა ხელი დაედო მათთვის; მოწაფეები კი არ უშვებდნენ მომგვრელთ, ეს რომ დაინახა, განრისხდა და უთხრა მათ: მოუშვით ჩემთან ბავშვები და ნუ უშლით მათ, ვინაიდან მათნაირებისაა ღმრთის სასუფეველი“ (მარკოზი 10, 13-14). მონობის, ტყვეთა სყიდვის, რასობრივი დაყოფის გაუქმება სწორედ ქრისტიანული ღირებულებების გაძლიერების დამსახურებაა.

4) ქრისტიანული ღირებულებები ყალიბდება ქრისტეს მოძღვრებიდან, რომელიც ფურცელზე დირექტივების სახით კი არ მოგვეცა, არამედ უფლის პირადი მაგალითით, ჩვენთვის, ადამიანებისთვის გაღებული მსხვერპლით, საკუთარი სიცოცხლით. უფლის ადამიანად მოსვლით და ადამიანებთან ცხოვრებით იესო ქრისტემ ნათლად დაგვანახა, თუ როგორ უყურებს ღმერთი ადამიანს, როგორ ზრუნავს, როგორ ანუგეშებს, როგორ ტირის ადამიანთან ერთად, როგორ ახარებს, როგორ აფასებს, როგორ ამართლებს, როგორ აძლევს ახალ და ახალ შანსს; მზად არის, საკუთარი სიცოცხლის ფასად დაარწმუნოს კაცობრიობა, რომ ბოროტებას ბოროტებით ვერ აღმოფხვრი და მხოლოდ დაუღალავი სიკეთის კეთებით შეიძლება შეამცირო ის.

5) სამყარო მუდამ ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ ბოროტება ბობოქრობს და ის დაუძლეველია. მიუ-

ხედავად ამისა, ღმერთს მინდობილი და ქრისტიანული ღირებულებით მხედველი ადამიანი კარგად გრძნობს და ხედავს, რომ „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ასევე ძნელია დღეს ადამიანი ადამიანს ენდოს. ქრისტე სწორედ ადამიანის მეშვეობით მოდის სამყაროში (ღვთისმშობელი), ადამიანს „დაიხმარს“ გოლგოთის გზაზე ჯვრის ტვირთვაში (სვიმონ კვირინელი), ადამიანებს აირჩევს მოციქულებად და თავისი მოძღვრების, აზროვნების, მსოფლმხედველობის გასავრცელებლად. შედეგად საოცრება ხდება: 12 ადამიანი მოახერხებს იმას, რასაც ვერ ახერხებდნენ იმპერიები და დამპყრობლები: „ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი, და კიდეთა სოფლისათა სიტყვანი მათნი“ (ფსალმ. 18,4). სწორედ ამიტომ, დღეს თანამედროვე სამყაროს მსოფლმხედველობა, კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა, კანონმდებლობა, სახელმწიფო მოწყობა, არქიტექტურა და ყველა სხვა სფერო განმსჭვალულია ქრისტიანული ღირებულებებით.

6) თანამედროვე სამყაროში აღრეულია კარგისა და ცუდის გაგება, ზნეობრივი ფასეულობები ჩანაცვლებულია ცვეთადით და დროებითით. ამ რეალობაში მოზარდისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, აირჩიოს, მიიღოს და დაეყრდნოს მყარ და სასარგებლო ღირებულებებს, რომლებიც მისთვის ცხოვრების გზამკვლევი და დასაყრდენი უნდა გახდეს. ვფიქრობთ, განათლებისა და ამ სფეროში მოღვაწეთა ამოცანაა, დაეხმარონ მოზარდს, არჩევანი გააკეთოს კარგსა და ცუდს, მუდმივსა და დროებითს, ძვირფასსა და იაფფასიანს შორის (სრულ და ობიექტურ სურათზე დაყრდნობით). აუცილებლად უნდა გამოიკვეთოს, რომ ზნეობრივი ღირებულებები და სულიერი ფასეულობები, მათ შორის, ადამიანი, ღირსება, სამშობლო, რწმენა - შეუფასებელია, რეალურად მათ არ აქვთ „ღირებულება“. ამიტომ სიტყვა „ღირებულების“ ხსენებისას იქვე ვხვდებით ხოლმე ფრაზას „მაღალი ღირებულება“. მაღალ ღირებულებას აქვს გამაერთიანებელი თვისება, მას შეუძლია, სულიერი და ზნეობრივი ფასეულობების ირგვლივ გააერთიანოს სრულიად უცხო ადამიანები, ოჯახები, ერები, მთელი კაცობრიობა.

7) რაც შეეხება პედაგოგისათვის რჩევას, ვფიქრობ, ყველამ ერთად: ეკლესიამ სახელმწიფომ, სასულიერო პირებმა თუ მასწავლებლებმა, ვისაც აღელვებს და ვისი კომპეტენციაცაა ეს საკითხები, ერთობლივად უნდა ვიმუშაოთ (ფაქტობრივად, ღირებულებითი განათლების დანერგვა ამას ითვალისწინებს). მნიშვნელოვანია კვლევა, რომ კარგად მივხვდეთ, რა არის ღირებულება, როგორ ჩნდება ღირებულებები, როგორ ხდება თანამედროვე რეალობაში მათი ჩანაცვლება, გაყალბება, გაუფასურება. თუმცა, ერთია, გამოიკვლიო, დაადგინო და გამოკვეთო და მეორეა, ისე მიაწოდო თანამედროვე მოზარდს, რომ მან ეს მნიშვნელოვნად, ღირებულად ჩათვალოს, მიიღოს და სასიკეთოდ გამოიყენოს. ეს არ არის მარტივი ამოცანა, მაგრამ ერთობლივი დაუღალავი შრომითა და რუდუნებით აუცილებლად მიიღწევა.

პირველად სიტყვა ***„ღირებულება“*** ბერძნულ ენაში გვხვდება არა როგორც ღირებულება, არამედ ***კეთილი (სიკეთე)*** და ***სათნო (სათნოება)*** (agaton, arete). ეს სიტყვები გამოიყენება XVIII საუკუნემდე. შემდგომ პერიოდში მას ჩაენაცვლება სიტყვა ***„ღირებულება“*** (valere), რომელიც ლათინური წარმომავლობისაა და ნიშნავს ***ძალას (გქონდეს ძალა), მნიშვნელობას (გქონდეს მნიშვნელობა),*** ასევე ***ფასს, საგნის ან საქონლის ღირებულებას*** (predium). ამ ყოველივეს გახსენება, წარმოჩენა და ხაზგასმა საჭიროა, რათა არ მოხდეს აღრევა, ჩანაცვლება, გაუფასურება, რადგან როდესაც დღეს ვიყენებთ სიტყვა ***„ღირებულებას“***, ვსაუბრობთ ე.წ. მაღალ ღირებულებებზე, სულიერ, ეროვნულ ფასეულობებზე, ნიშნავს, რომ ეს ღირებულება რეალურად შეუფასებელი და ფასდაუდებელია.

ადამიანს როცა ვეკითხებით, რა არის ფასეულობა (იგივე ღირებულება), ეს კითხვა ძალიან ჰგავს კითხვას „რა მჭირდება?“ - სახლი, მანქანა, აგარაკი, გართობა და ა.შ.. თუ კარგად დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ ეს ორი (რა მჭირდება/რა მინდა და რა არის ღირებული) სხვადასხვა რამაა და პირადი სურვილების დაკმაყოფილების დროს რაღაც შინაგანად მეწინააღმდეგება. მაგალითად, შემიძლია გამდიდრება, თუმცა ეს სხვისი მოტყუების ხარჯზე უნდა მოხდეს; შემიძლია ვისიამოვნო და სხვა გამოვიყენო, თუმცა ამით გულს ვატკენ საყვარელ ადამიანს; შემიძლია სამსახურში დავწინაურდე, თუმცა ეს დამიჯდება ჩემზე წინ მდგომზე გადაბიჯებით; შემიძლია ცხოვრების გაგრძელება, თუმცა - დროშაზე ფეხის დადგმის სანაცვლოდ. ეს კი ნიშნავს, რომ რაც მე მსიამოვნებს და მჭირდება, შესაძლოა სულაც არ იყოს ღირებულება. გამოდის, რომ ადამიანში არის რაღაც თავისთავადი, რაც ეხმიანება სამყაროს, უბრალოდ მას სჭირდება გახსენება, გააზრება, სახელის დარქმევა და გათავისება.

ერთია, რა გინდა და მეორეა, მართებულია თუ არა ეს სურვილი. ერთია, რომ გჭირდება და მეორეა, გეკუთვნის თუ არა. ერთია, მინდა და მეორეა, სასარგებლოა თუ არა ის შენთვის. მაღალი ღირებულება გვეხმარება, გავცეთ ამ კითხვებზე პასუხი და ჩვენი სიტყვა, საქმე და ცხოვრება იყოს ღირსეული, ფასეული და ჭეშმარიტად ღირებული.

**დათია ბადალაშვილი**

*მწერალი*

ყოველ ჯერზე, როდესაც წიგნს ვშლით, ჩვენ ვიწყებთ უჩვეულო მოგზაურობას. ეს მოგზაურობა არის არა მხოლოდ ავტორის გონებაში, არამედ ჩვენს საკუთარ სამყაროშიც. თითოეული სიტყვა, წინადადება და აბზაცი ჩვენში აღძრავს ემოციებს, აზრებს და ასოციაციებს, რომლებიც უნიკალურია ჩვენთვის. მაგრამ როგორ გამოვხატოთ ეს რთული და მრავალფეროვანი გამოცდილება? როგორ ვუთხრათ სხვებს (და საკუთარ თავს) თუ რას ვგრძნობთ და ვფიქრობთ, როდესაც ვკითხულობთ?

ლიტერატურული თეორიები გვთავაზობს სხვადასხვა გზასა და საშუალებას, რომლებიც შეგვიძლია გამოვიყენოთ ტექსტის გასაანალიზებლად და ჩვენი რეაქციის გამოსახატავად. ერთ-ერთი ყველაზე რელევანტური ამ ამბავში  არის „მკითხველის რეაქციის თეორია", რომელიც განვითარდა 1960-70-იან წლებში.

ამ თეორიის მიხედვით, ტექსტის მნიშვნელობა არ არის ფიქსირებული ან უნივერსალური. პირიქით, იგი იქმნება მკითხველის მიერ კითხვის პროცესში. როგორც ლუიზ როზენბლატი, ამ თეორიის ერთ-ერთი პიონერი, აღნიშნავდა: „პოემა [ან ნებისმიერი ლიტერატურული ნაწარმოები] არის ის, რასაც მკითხველი გამოცდის".

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ინტერპრეტაცია თანაბრად ვალიდურია. სტენლი ფიში, კიდევ ერთი გავლენიანი თეორეტიკოსი ამ სფეროში, გვთავაზობს „ინტერპრეტაციული საზოგადოებების" იდეას. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი წაკითხვები ფორმირდება იმ კულტურული და სოციალური კონტექსტით, რომელშიც ვცხოვრობთ.

ამრიგად, როდესაც გამოვხატავთ ჩვენს დამოკიდებულებას ტექსტის მიმართ, ჩვენ არა მხოლოდ ვაანალიზებთ ტექსტს, არამედ ვიკვლევთ საკუ-

თარ თავს და იმ სოციო-კულტურულ გარემოს, რომელშიც ვარსებობთ.

მწერლები, რომლებმაც თავად შექმნეს უკვდავი ნაწარმოებები, ხშირად გვთავაზობენ უნიკალურ ხედვას იმაზე, თუ როგორ უნდა წავიკითხოთ და გავიაზროთ ლიტერატურა.

ვლადიმირ ნაბოკოვი, რომელიც ცნობილია არა მხოლოდ როგორც მწერალი, არამედ როგორც ლიტერატურის პროფესორიც, ამბობდა: «კარგი მკითხველი, დიდი მკითხველი, აქტიური და შემოქმედებითი მკითხველი არის ხელახლა მკითხველი». ის გვირჩევდა, რომ წიგნებთან მიახლოება მოგვეხდინა არა მხოლოდ გულით, არამედ გონებითაც, ყურადღებით დავკვირვებოდით დეტალებს და გვეძებნა კავშირები.

ვირჯინია ვულფი კი გვთავაზობს, რომ კითხვა იყოს უფრო ინტუიციური პროცესი. მისი აზრით, „ჩვეულებრივი მკითხველი" კითხულობს საკუთარი სიამოვნებისთვის, ყოველგვარი აკადემიური ან კრიტიკული მიზნების გარეშე. ვულფი წერდა: „კითხვის ხელოვნება მდგომარეობს იმაში, რომ იყო ღია, მგრძნობიარე და მზად იმისთვის, რომ მიიღო შთაბეჭდილებები".

ეს ორი მიდგომა - ანალიტიკური და ინტუიციური - არ არის ურთიერთგამომრიცხავი. პირიქით, ისინი შეიძლება გამოვიყენოთ ერთდროულად, რათა მივიღოთ მდიდარი და მრავალმხრივი გამოცდილება კითხვისას.

იტალო კალვინო თავის წიგნში „თუ ზამთრის ღამეს მოგზაური" გვთავაზობს კიდევ ერთ პერსპექტივას. ის წერს: „კითხვა არის ინდივიდუალური აქტი, უფრო ინტიმური, ვიდრე სხვა რაიმე. წიგნის კითხვისას ჩვენ ვართ მარტო ავტორთან, მხოლოდ ჩვენ და ის". ეს გვახსენებს, რომ ჩვენი რეაქცია ტექსტზე არის ძალიან პირადი და უნიკალური.

როგორც ვხედავთ, დიდი მწერლები გვთავაზობენ სხვადასხვა გზას ტექსტთან ურთიერთობისთვის - ანალიტიკურს, ინტუიციურს და პირადს. ჩვენი გამოწვევაა, ვიპოვოთ ბალანსი ამ მიდგომებს შორის და შევქმნათ ჩვენი საკუთარი, უნიკალური მეთოდი კითხვისა და რეაგირებისთვის.

ლიტერატურული თეორიები და დიდი მწერლების მოსაზრებები მნიშვნელოვან საფუძველს გვაძლევს, მაგრამ როგორ გამოიყურება კითხვა და ტექსტზე რეაგირება ყოველდღიურ ცხოვრებაში? საინტერესოა, რომ ბევრი მკითხველი ინტუიციურად იყენებს იმ მეთოდებს, რომლებსაც თეორეტიკოსები და მწერლები გვთავაზობენ. მაგალითად, წიგნის კლუბები, რომლებიც მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, არის ცოცხალი მაგალითი იმისა, თუ როგორ ხდება „ინტერპრეტაციული საზოგადოებების» ფორმირება რეალურ ცხოვრებაში.

ერთ-ერთი გავრცელებული პრაქტიკაა „აქტიური კითხვა" - პროცესი, როდესაც მკითხველი აკეთებს ჩანაწერებს, ხაზს უსვამს მნიშვნელოვან პასაჟებს ან წერს კომენტარებს წიგნის გვერდებზე. ეს მეთოდი ეხმიანება ნაბოკოვის იდეას „ხელახლა კითხვის" შესახებ და ეხმარება მკითხველს უფრო ღრმად ჩაერთოს ტექსტში.

კიდევ ერთი საინტერესო ტენდენციაა „მოგზაურობა ლიტერატურის კვალდაკვალ". მკითხველები ხშირად სტუმრობენ ადგილებს, რომლებიც აღწერილია მათ საყვარელ წიგნებში ან ეძებენ რეალურ ლოკაციებს, რომლებმაც შთააგონა ავტორები. ეს პრაქტიკა აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ლიტერატურას გავლენა მოახდინოს ჩვენს რეალურ ცხოვრებაზე და პირიქით.

2021 წლის მონაცემებით, მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 86% იყო წიგნიერი. ეს ნიშნავს, რომ უფრო მეტ ადამიანს, ვიდრე ოდესმე, შეუძლია წაიკითხოს და გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ტექსტების მიმართ.

საინტერესოა, რომ ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში ბეჭდური წიგნები კვლავ პოპულარულია. Pew Research Center-ის კვლევის თანახმად, ამერიკელების 65% წაიკითხა ბეჭდური წიგნი გასული წლის განმავლობაში, მაშინ როცა ელექტრონული წიგნების მკითხველთა რაოდენობა 28% იყო.

გლობალურად, საშუალოდ ადამიანები კითხულობენ დაახლოებით 10 წიგნს წელიწადში; თუმცა ეს რიცხვი მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, ინდოეთში საშუალო მაჩვენებელი 10.42 წიგნია წელიწადში, მაშინ როცა თურქეთში - 5.54.

ეს სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ტექნოლოგიური ცვლილებებისა, კითხვა კვლავ რჩება ადამიანების ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად. თუმცა, ის ასევე მიუთითებს იმაზე, რომ კითხვის გამოცდილება და პრაქტიკა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს კულტურებისა და ქვეყნების მიხედვით.

დღევანდელ სამყაროში, სადაც ინფორმაცია თითის წვერზეა, კითხვის პროცესი და ტექსტზე რეაგირება ახალ გამოწვევებს აწყდება.

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ყურადღების დეფიციტი. სოციალური მედიისა და მოკლე ფორმის კონტენტის ეპოქაში, ბევრ მკითხველს უჭირს კონცენტრაცია გრძელ ტექსტებზე. ეს იწვევს „ზედაპირულ კითხვას" - პრაქტიკას, როდესაც მკით-

ხველი სწრაფად გადაავლებს თვალს ტექსტს, ნაცვლად იმისა, რომ ღრმად ჩაუფიქრდეს მას.

მეორე მხრივ, ციფრულმა ტექნოლოგიებმა შექმნა ახალი შესაძლებლობებიც. ელექტრონული წიგნები საშუალებას აძლევს მკითხველს, სწრაფად მოძებნოს ციტატები, გააკეთოს ჩანიშვნები და გაუზიაროს თავისი აზრები სხვა მკითხველებს პირდაპირ ტექსტიდან. ეს ხელს უწყობს უფრო ინტერაქტიული და კოლაბორაციული კითხვის გამოცდილებას.

აუდიოწიგნების პოპულარობის ზრდა კიდევ ერთი საინტერესო ტენდენციაა. ეს ფორმატი საშუალებას აძლევს ადამიანებს, „წაიკითხონ" წიგნები მაშინაც, როდესაც ტრადიციული კითხვა შეუძლებელია. თუმცა, ეს ასევე ბადებს კითხვებს იმის შესახებ, თუ როგორ განსხვავდება აუდიოწიგნის მოსმენის გამოცდილება ვიზუალური კითხვისგან. აუდიოწიგნების ფართო არჩევანს გვთავაზობს ახლა უკვე ფართოდ ცნობილი „საბა" და „გუდა".

ინტერნეტმა ასევე შექმნა ახალი პლატფორმები ლიტერატურული დისკუსიებისთვის. ონლაინ ფორუმები, ბლოგები და სოციალური მედიაპლატფორმები საშუალებას აძლევს მკითხველებს, გაუზიარონ თავიანთი აზრები და ინტერპრეტაციები გლობალურ აუდიტორიას. ეს აფართოებს „ინტერპრეტაციული საზოგადოებების" კონცეფციას და ქმნის ახალ, ვირტუალურ სივრცეებს ლიტერატურული დისკურსისთვის. ასეთებია მაგალითად, ფეისბუქ და ინსტაგრამ გვერდები: „მკითხველთა ლიგა", „წიგნის ჭიები" და სხვა. ჯგუფის წევრები აქტიურად განიხილავენ წაკითხულ და წასაკითხ წიგნებს.

მიუხედავად ამ გამოწვევებისა და ცვლილებებისა, კითხვის არსი - ტექსტთან პირადი კავშირის დამყარება და მასზე რეაგირება - რჩება უცვლელი. თანამედროვე მკითხველის გამოწვევაა, იპოვოს ბალანსი ახალ ტექნოლოგიებსა და ტრადიციულ კითხვის პრაქტიკას შორის, რათა შეინარჩუნოს ღრმა და მნიშვნელოვანი კავშირი ლიტერატურასთან.

ჩვენი მოგზაურობა სიტყვების სამყაროში გვიჩვენებს, რომ კითხვა არ არის პასიური პროცესი. ეს არის დიალოგი ავტორსა და მკითხველს შორის, სადაც ორივე მხარე თანაბრად მნიშვნელოვანია. ჩვენი რეაქცია, ჩვენი დამოკიდებულება ტექსტის მიმართ არის ის, რაც ამ დიალოგს აცოცხლებს და აძლევს მას მნიშვნელობას.

ნაბოკოვი გვირჩევს, ვიყოთ ყურადღებიანი და ანალიტიკური მკითხველები; ვულფი გვახსენებს ინტუიციური, ემოციური კითხვის მნიშვნელობას; კალვინო კი მიგვანიშნებს, რომ კითხვა არის ღრმად პირადი გამოცდილება.

რეალური გამოცდილება და სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ტექნოლოგიური ცვლილებებისა, კითხვა რჩება ადამიანების ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად. თუმცა, თანამედროვე გამოწვევები, როგორიცაა ყურადღების დეფიციტი და ციფრული ტექნოლოგიების გავლენა, ცვლის ჩვენს კითხვის ჩვევებს და ტექსტთან ურთიერთობის გზებს.
და მაინც, როგორ შეიძლება გამოხატოს მკითხველმა თავისი დამოკიდებულება ტექსტის მიმართ? ამისთვის შემიძლია რამდენიმე პრაქტიკული რჩევა გაგიზიაროთ:

1. იყავით აქტიური მკითხველი: გააკეთეთ ჩანიშვნები, მონიშნეთ მნიშვნელოვანი პასაჟები, დასვით კითხვები ტექსტის კითხვისას. ეს დაგეხმარებათ, უფრო ღრმად ჩაერთოთ ტექსტში და შექმნათ პირადი კავშირი მასთან.
2. გააანალიზეთ თქვენი რეაქციები - დაფიქრდით, რატომ გრძნობთ იმას, რასაც გრძნობთ ტექსტის კითხვისას; რა გამოცდილებები ან რწმენები განაპირობებს თქვენს რეაქციებს.
3. გაუზიარეთ თქვენი აზრები სხვებს, შეუერთდით წიგნის კლუბს ან ონლაინფორუმს. სხვათა პერსპექტივების მოსმენა და თქვენი აზრების გაზიარება დაგეხმარებათ, გააფართოოთ თქვენი გაგება და ინტერპრეტაცია.
4. ექსპერიმენტი ჩაატარეთ სხვადასხვა კითხვის მეთოდით: სცადეთ "ნელი კითხვა", როდესაც ყურადღებით აანალიზებთ ყოველ წინადადებას ან პირიქით, წაიკითხეთ სწრაფად, რათა მიიღოთ ზოგადი შთაბეჭდილება. შეადარეთ თქვენი გამოცდილებები.

5. დაწერეთ: წერა არის ძლიერი ინსტრუმენტი აზრების ორგანიზებისა და დახვეწისთვის. სცადეთ დაწეროთ მოკლე მიმოხილვა, ესე ან უბრალოდ პირადი დამოკიდებულება თქვენი კითხვის გამოცდილების შესახებ.
6. დააკავშირეთ ტექსტი თქვენს ცხოვრებასთან - იფიქრეთ, როგორ უკავშირდება ის, რასაც კითხულობთ, თქვენს პირად გამოცდილებას ან მიმდინარე მოვლენებს. ეს დაგეხმარებათ, შექმნათ უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი კავშირი ტექსტთან.
7. გამოიყენეთ ტექნოლოგია გონივრულად: ციფრული ინსტრუმენტები შეიძლება იყოს სასარგებლო - გამოიყენეთ ელექტრონული წიგნების ჩანიშვნების ფუნქცია ან აუდიოწიგნები, მაგრამ ნუ დაივიწყებთ ტრადიციული, ფოკუსირებული კითხვის ღირებულებას.
8. გახსოვდეთ კონტექსტი: გაითვალისწინეთ ტექსტის ისტორიული, კულტურული და სოციალური კონტექსტი, მაგრამ ასევე აღიარეთ თქვენი საკუთარი კონტექსტის გავლენა თქვენს ინტერპრეტაციაზე.
9. იყავით ღია ახალი ინტერპრეტაციებისთვის: ნუ შეეცდებით მოძებნოთ ერთი "სწორი" მნიშვნელობა. კარგი ლიტერატურა ხშირად გვთავაზობს მრავალ ინტერპრეტაციას.
10. დაუბრუნდით ტექსტს: დროთა განმავლობაში ჩვენი პერსპექტივები იცვლება. ხელახლა წაკითხვა შეიძლება იყოს გამაოგნებელი გამოცდილება, რომელიც გვიჩვენებს, როგორ შეიცვალა ჩვენი დამოკიდებულება ტექსტის მიმართ.

ამგვარად, მკითხველის დამოკიდებულების გამოხატვა არ არის მხოლოდ პირადი გამოცდილების გაზიარება, არამედ მძლავრი ინსტრუმენტია, რომელიც აყალიბებს ლიტერატურულ ლანდშაფტს, გავლენას ახდენს კულტურულ ტენდენციებზე და ხელს უწყობს საზოგადოებრივი დიალოგის წარმართვას მნიშვნელოვან საკითხებზე. ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა ციფრულ ეპოქაში, სადაც მკითხველთა ხმები უფრო ფართოდ და სწრაფად ვრცელდება, ქმნის რა ახალ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს ლიტერატურული სამყაროსთვის.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მკითხველისა და ტექსტის ურთიერთობა რჩება ლიტერატურის, კულტურისა და საზოგადოების განვითარების ცენტრალურ ასპექტად. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიური პროგრესი ცვლის ამ ურთიერთობის ფორმებს, მისი არსი - ადამიანის უნარი, შეიმეცნოს სამყარო და საკუთარი თავი - რჩება უცვლელი და უნივერსალური. მომავალში ამ ურთიერთობის გაღრმავება და გამდიდრება მოითხოვს ბალანსის დაცვას ინოვაციასა და ტრადიციას შორის, ტექნოლოგიურ პროგრესსა და ჰუმანურ ღირებულებებს შორის.

# როგორ გავაუმჯობესოთ წიგნიერების დონე სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტების დახმარებით

## იოსებ ლაზარაშვილი

*სსიპ ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლის დირექტორი*


### შესავალი

წიგნიერების ბოლო საერთაშორისო კვლევის (PIRLS 2021) მონაცემებით, საქართველოში მოსწავლეთა მიღწევები წიგნიერებაში კვლავ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. პროექტის „შეფასება განვითარებისთვის" ფარგლებში ჩატარებული ეროვნული სადიაგნოსტიკო შეფასების მიხედვითაც იკვეთება მნიშვნელოვანი გამოწვევები ამ მიმართულებით. შესაბამისად, შევეცდები, სტატიაში თვალსაჩინოდ და საინტერესოდ განვიხილო მეოთხეკლასელი მოსწავლეების გამოწვევები და პროგრესი, წიგნიერებაში აღნიშნული კვლევებისა და სასკოლო პრაქტიკის საფუძველზე. ასევე, მსურს თქვენი ყურადღება გავამახვილო იმ ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელებაზე, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს წიგნიერების მიმართულებით სასკოლო პრაქტიკის გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა მიღწევების ამაღლებას.

### ძირითადი ნაწილი

მეოთხეკლასელი მოსწავლეების წიგნიერების საერთაშორისო კვლევის PIRLS 2021 (Progress in International Reading Literacy Study) შედეგების მიხედვით:

ქართველი მოსწავლეების მიღწევები წიგნიერებაში კვლავ საერთაშორისო საშუალო მონაცემზე დაბალია;

- საქართველოში მოსწავლეთა 13% წიგნიერებაში მიღწევების დაბალი სირთულის საფეხურს მიღმაა.
- თავდაპირველად, 2006 წლის კვლევაში ქართველ მოსწავლეებს უფრო მაღალი მიღწევები ჰქონდათ ტექსტში ინფორმაციის ამოცნობისა და უშუალო დასკვნების გაკეთებასთან დაკავშირებულ დავალებებში, თუმცა 66662011 წლიდან 2021 წლის კვლევის ჩათვლით მოსწავლეებს ტექსტის ინტერპრეტაციისა და ინტეგრირებასთან დაკავშირებული დავალებების შესრულება უფრო უადვილდებათ, მაგრამ შედარებით უჭირთ უშუალო დასკვნების გამოტანასთან დაკავშირებული დავალებები.

2019 წელს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მუშაობა დაიწყო პროექტზე **„შეფასება განვითარებისათვის"**, რომლის მიზანი იყო, ელექტრონული პლატფორმის დახმარებით, მეოთხე და მეექვსეკლასელების მიღწევების შეფასება სასწავლო წლის ბოლოს ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წიგნიერება) და მათემატიკაში (რაოდენობრივი წიგნიერება). თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ სტატიაში მხოლოდ წიგნიერების მიმართულებას განვიხილავ 2022 და 2023 წლების სადიაგნოსტიკო შეფასების მონაცემების მიხედვით.

მოსწავლეებს უტარდებოდათ დიაგნოსტიკური შეფასება ელექტრონულ ფორმატში და შეფასების შედეგებიც იტვირთებოდა ელექტრონულ პლატფორმაზე (i.naec.ge), სადაც:

- სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შეეძლოთ გაცნობოდნენ ინფორმაციას მოსწავლეთა სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ;
- სკოლას შესაძლებლობა ჰქონდა, დაკვირვებოდა სწავლა-სწავლების ტენდენციებს როგორც ინდივიდუალური მოსწავლისა და ცალკეული კლასის, ასევე ზოგადად, სკოლის დონეზე. მაგალითად, მიეღო ინფორმაცია არა მხოლოდ საგანში მიღებული ზოგადი შედეგის თაობაზე, არამედ იმის შესახებაც, თუ რა ტიპის დავალების შესრულება გაუჭირდა ან გაუადვილდა მოსწავლეს, ეროვნული სასწავლო გეგმის რომელი კონკრეტული სტანდარტის შედეგთან იყო კავშირში ეს დავალება და ა.შ..

ქვემოთ მოცემულ ცხრილში, წითლად შეფერილი სტანდარტის ინდექსების სახით, წარმოდგენილია საგნობრივი სტანდარტის შედეგები, რომლებსაც ფარავდა სადიაგნოსტიკო შეფასება.

***სადიაგნოსტიკო ტესტის კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან***

*ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები (I-IV კლასები)*

| მიმართულება: ზეპირმეტყველება | მიმართულება: კითხვა | მიმართულება: წერა |
|---|---|---|
| | **ქართ. დაწყ. (I). 6** | |
| ქართ. დაწყ. (I). 1 | **ქართ. დაწყ. (I). 7** | |
| ქართ. დაწყ. (I). 2 | **ქართ. დაწყ. (I). 8** | **ქართ. დაწყ. (I). 13** |
| ქართ. დაწყ. (I). 3 | **ქართ. დაწყ. (I). 9** | **ქართ. დაწყ. (I). 14** |
| ქართ. დაწყ. (I). 4 | **ქართ. დაწყ. (I). 10** | **ქართ. დაწყ. (I). 15** |
| ქართ. დაწყ. (I). 5 | **ქართ. დაწყ. (I). 11** | |
| | **ქართ. დაწყ. (I). 12** | |

ამ პროექტის ერთ-ერთი მიზანი იყო სკოლის შესაბამისი მონაცემებით უზრუნველყოფა, რათა შეფასებებისა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე:

- სკოლას საშუალება ჰქონოდა, განევითარებინა სასკოლო სასწავლო გეგმა, ხოლო მასწავლებლებს - ორიგინალური კურიკულუმები;
- საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს დაეგეგმათ შესაბამისი ინტერვენციები როგორც კონკრეტული მოსწავლის, ასევე საკლასო დონეზე.

პროექტის „შეფასება განვითარებისათვის“ ფარგლებში, დავალებები დაჯგუფებული იყო ოთხ სფეროში: 1) ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის პოვნა და გაგება; 2) უშუალო დასკვნების გამოტანა; 3) მოცემული ინფორმაციის ინტერპრეტირება და არსებულ ცოდნასა და გამოცდილებასთან ინტეგრირება; 4) ტექსტის შინაარსის, ტექსტუალური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების კრიტიკულად გააზრება და შეფასება (მე-4 სფერო 2023 წელს დაემატა). წიგნიერების საერთაშორისო კვლევაშიც PIRLS (Progress in International Reading Literacy Study) ამ ოთხი მიმართულებით ხდება წაკითხულის გააზრების პროცესების შეფასება. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ამ კუთხით საერთაშორისო და ეროვნული კვლევების შედარება.

„შეფასება განვითარებისათვის" სადიაგნოსტიკო შეფასების შედეგების მიხედვით, მოსწავლეებს ეროვნულ დონეზე ყველაზე მეტად გაუჭირდათ მესამე სფეროდან *(მოცემული ინფორმაციის ინტერპრეტირება და არსებულ ცოდნასა და გამოცდილებასთან ინტეგრირება)* წარმოდგენილი დავალებების შესრულება, შედარებით გაუადვილდათ უშუალო დასკვნების გამოტანა, ყველაზე მაღალი მიღწევები კი ჰქონდათ ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის პოვნა და გაგებასთან დაკავშირებულ დავალებებში. შესაბამისად, ეროვნული კვლევის შედეგები უფრო მეტად იმეორებს წიგნიერების საერთაშორისო კვლევის (PIRLS) 2006 წლის ტენდენციებს ვიდრე 2011-2021 წლის ჩათვლით ჩატარებული კვლევებისას.

აღსანიშნავია, რომ სკოლის დონეზეც მსგავსი ტენდენციები გამოიკვეთა, რაც ეროვნულ დონეზე. კერძოდ, 58-ე სკოლის მოსწავლეებს ყველაზე მაღალი შედეგები ჰქონდათ პირველი სფეროდან მიცემულ შემდეგ დავალებებში: 1) სინონიმების ამოცნობა; 2) კონკრეტული ეპიზოდის/ ფრაზის შინაარსის გაგება; 3) ტექსტში თვალსაჩინოდ მოცემული იდეის ამოცნობა და გამოთქმების ამოცნობა და გაგება შინაარსის დონეზე. ყველაზე მეტად კი გაუჭირდათ მესამე სფეროდან მიცემული შემდეგი დავალებების შესრულება: 1) ტექსტის გარკვეული მონაკვეთის ინტერპრეტირება; 2) საკუთარი ცოდნის, გამოცდილებისა და ტექსტში მოცემული ფაქტების დაკავშირების საფუძველზე დასკვნის გამოტანა.

დიაგნოსტიკური შეფასების ელექტრონული პლატფორმის ერთ-ერთი საინტერესო ფუნქცია იყო შედეგების დაჯგუფება 5 დონედ: ძალიან დაბალი, საშუალოზე დაბალი, საშუალო, საშუალოზე მაღალი, ძალიან მაღალი. ასევე, აღნიშნული ფუნქცია საშუალებას გვაძლევდა ერთიანი სურათის სახით დაგვენახა მოსწავლეთა მიღწევები ეროვნულ დონეზე - კლასის დონეზე გოგოებისა და ბიჭების შედეგები ერთად, კლასის დონეზე გოგოების მიღწე-

ვები ცალკე და კლასის დონეზე ბიჭების მიღწევები ცალკე.

2022 წლის დიაგნოსტირების შედეგების მიხედვით, 58-ე სკოლის მეოთხეკლასელ მოსწავლეთა უდიდესი ნაწილის მიღწევები იყო საშუალო დონეზე, დაახლოებით მეოთხედის შედეგები იყო საშუალოზე დაბალ დონეზე, ხოლო ძალიან მცირე პროცენტი ნაწილდებოდა ძალიან დაბალ და საშუალოზე მაღალ დონეებზე.

ზემოაღნიშნული შედეგებისა და გამოწვევების მიხედვით, საგნის მასწავლებელმა ცვლილებები შეიტანა საგნობრივ კურიკულუმში, დაამატა შესაბამისი აქტივობები და სასწავლო რესურსები, განსაკუთრებით, იმ მიმართულებით, რომელშიც ყველაზე დაბალი შედეგები ჰქონდათ მოსწავლეებს.
2023 წლის სადიაგნოსტიკო შეფასების საფუძველზე, შესაძლებლობა მოგვეცა მოსწავლეთა მიღწევები შეგვედარებინა 2022 წლის მონაცემებისთვის და გაგვეგო კორექტირებული კურიკულუმის (დამატებითი სასწავლო რესურსები, აქტივობები) საშუალებით როგორ შეიცვალა მოსწავლეთა შედეგები.

ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ 58-ე სკოლის მოსწავლეთა შედეგები გაუმჯობესდა მესამე სფეროდან *(მოცემული ინფორმაციის ინტერპრეტირება და არსებულ ცოდნასა და გამოცდილებასთან ინტეგრირება)* მიცემულ დავალებებში. ამ მიმართულებით ეროვნულ დონეზეც დაფიქსირდა პროგრესი, თუმცა, 58-ე სკოლის მოსწავლეთა შედეგები წინა წლის შედეგებთან შედარებით უფრო მეტად გაიზარდა. განხორციელებული ინტერვენციების შედეგად მიღწეულ პროგრესში ისიც გვარწმუნებს, რომ მოსწავლეთა წილი გაორმაგდა საშუალოზე მაღალ დონეზე და არცერთი მოსწავლე აღარ მოხვდა ძალიან დაბალ დონეზე.

ანალიზის პროცესში გამოიკვეთა გამოწვევებიც და მიუხედავად ნაჩვენები პროგრესისა, ყველაზე დაბალი შედეგები მოსწავლეებს კვლავ მესამე სფეროში უფიქსირდებათ; თითქმის იგივე სურათია მეოთხე სფეროს დავალებებშიც. ასევე, პირველი სფეროს შედეგებთან შედარებით, მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მეორე სფეროდან მიცემული დავალებების შესრულებაც. კერძოდ, წინა წლის მონაცემებთან შედარებით, მოსწავლეთა შედეგები არის შემცირებული.

ჩვენი ვარაუდით, საგნის მასწავლებლის მიერ კურუკულუმის გადაგეგმვისას, მესამე სფეროს მიმართულებით ყურადღების გამახვილებამ და მუშაობის გაძლიერებამ გააუმჯობესა მოსწავლეთა შედეგები. თუმცა, დიდი ალბათობით, ამავე მიზეზით ყურადღება დააკლდა მეორე სფეროს მიმართულებას, რამაც გამოიწვია მოსწავლეთა მიღწევების შემცირება.

სკოლის ხედვით, ოთხივე სფეროს მიმართულებით მოსწავლეთა შედეგების მეტ-ნაკლებად თანაბარი პროგრესისთვის საჭიროა:

- ინტერვენციების დაგეგმვისას საგნის მასწავლებელს, კათედრისა და დირექციის წევრებს შორის უფრო აქტიური კომუნიკაცია და თანამშრომლობა;
- ეროვნულ სადიაგნოსტიკო შეფასებასთან („შეფასება განვითარებისათვის") ერთად, შიდა სასკოლო სადიაგნოსტიკო შეფასებების ორგანიზება და არა მხოლოდ მე-4 კლასში;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- მასწავლებლების თვითშეფასება;
- სხვა მექანიზმების ინტეგრირება.

**დასკვნა/შეჯამება**

ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია წიგნიერებაში მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება არა მარტო ქართულ ენასა და ლიტერატურაში, არამედ ყველა სხვა საგანშიც, რადგან  მიღწევები წიგნიერებაში აისახება სხვა საგნებში მოსწავლეთა მიღწევებზეც. აქედან გამომდინარე, სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად გააძლიეროს მუშაობა წიგნიერების დონის ასამაღლებლად.

ჩემი აზრით, ზემოაღნიშნულისთვის საჭიროა, სასკოლო სასწავლო გეგმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას, სკოლა ურთიერთდაკავშირებულად აანალიზებდეს და ითვალისწინებდეს როგორც საერთაშორისო კვლევის, ისე ეროვნული და შიდასასკოლო სადიაგნოსტიკო შეფასებების შედეგებს. ასევე მნიშვნელოვანია, მრავალფეროვანი წყაროებისა და მრავალმხრივი მეთოდების გამოყენებით, სკოლა ხელს უწყობდეს სისტემური მიდგომებისა და თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარებას.


გამოყენებული ლიტერატურა:

PIRLS 2021 წიგნიერების საერთაშორისო კვლევის შედეგები საქართველოში;
პროექტი **„შეფასება განვითარებისთვის“**; შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;

## თეა კეკელიძე

*ხელოვნებათმცოდნე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წამყვანი მასწავლებელი*

ვიზუალური წიგნიერება არის კითხვის, წერის და სხვადასხვა ვიზუალური რესურსის შექმნისა და გამოყენების უნარი. ეს არის კონცეფცია, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ხელოვნებას, მაგრამ მას ასევე აქვს ბევრად უფრო ფართო გამოყენება. იგი ამდიდრებს წიგნიერების ცნებას და უფრო მრავაფეროვანსა და შემეცნებითს ხდის სასწავლო პროცესს.

ტერმინი „ვიზუალური წიგნიერება“ პირველად 1969 წელს გამოიყენა ჯონ დებემ, რომელმაც შემოგვთავაზა შემდეგი განმარტება: „ვიზუალური წიგნიერება გულისხმობს მხედველობის კომპეტენციების ჯგუფს, რომელსაც შეუძლია მოსწავლის კოგნიტურ სივრცეში განავითაროს სხვა სენსორული გამოცდილება ვიზუალური მასალის აღქმით და ინტეგრირებით“. /ჯონ დებე. „ფიქრები ვიზუალური წიგნიერების შესახებ“, 1997 წელი./

რა არის ვიზუალური წიგნიერება? კოლეჯებისა და კვლევითი ბიბლიოთეკების ასოციაციის (ACRL) მიერ მოწოდებული განმარტების თანახმად: „ვიზუალური წიგნიერება არის უნარების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს ეფექტურად იპოვოს ინტერპრეტაცია, შეფასება, გამოყენება და თავად შექმნას სურათები და ვიზუალური მედია.

ის ასევე მოიცავს წიგნებს, პლაკატებს, ვებსაიტებს და სხვა მედიას, რომლებიც აერთიანებს სხვადასხვა თემას გაუმჯობესებულ ვიზუალურ მასალასთან ერთად. უორენ ლერერის “ცხოვრება წიგნებში“ და ჯუდიტ სლოანის „გადაკვეთა ბულვარში“ არის ბეჭდური ვიზუალური წიგნიერების მაგალითები.

ვიზუალური წიგნიერება ხელს უწყობს მოსწავლეთა რეფლექსიის, ანალიზისა და შეფასებითი აზროვნების უნარების განვითარებას. ვიზუალური წიგნიერების გაკვეთილები გამოიყენება იმისთვის, რომ მოსწავლეებს ასევე ვასწავლოთ ხელოვნების ნიმუშების დეტალური ანალიზი ვიზუალური დაკვირვების მაგალითზე.

ვიზუალური წიგნიერება გვეხმარება, გავიგოთ და აღვწეროთ ხელოვნების ნიმუში; ვისაუბროთ იმ ვიზუალური გამოსახვის ხერხებსა და შესაძლებლობებზე, რომლებიც ხელოვნებას კომუნიკაციის საშუალებად. აქცევს

**რა არის ვიზუალური წიგნიერების პრინციპები?**

ვიზუალური წიგნიერება მოიცავს ვიზუალური კომუნიკაციისა და ვიზუალური სურათების წაკითხვისა და ინტერპრეტაციის უნარს. გარდა ამისა, მოსწავლეებმა უნდა შეძლონ გამოსახულების ინტერპრეტირება და იდეის, ჩანაფიქრის გამოცნობა. ვიზუალური წიგნიერება ასევე მოიცავს გამოსახულების სიზუსტის, მართებულობისა და ღირებულების შეფასებას.

ვიზუალური წიგნიერება აწვდის მოსწავლეს ვიზუალური მასალის წარმოებასა და გამოყენებაში ჩართული კონტექსტუალური, კულტურული, ეთიკური, ესთეტიკური, ინტელექტუალური და ტექნიკური კომპონენტების გაგებისა და ანალიზისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

ვიზუალური წიგნიერების თეორიის ძირითადი კომპონენტებია:




**რა არის ვიზუალური წიგნიერების სწავლის მიზან-შედეგობრივი კავშირი?**

ვიზუალური წიგნიერების მოსწავლის სწავლის შედეგები:

ინტერდისციპლინურ, სასკოლო-საგანმანათლებლო გარემოში ვიზუალურად განათლებულ მოსწავლეს შეუძლია:

**ა) ვიზუალურ მასალაზე მდგრადი დაკვირვება;**
**ბ) სხვადასხვა ნამუშევარსა და ვიზუალურ მედიაზე დაკვირვება და ინტერპრეტაცია;**
**გ) ანალიზი და შეფასება.**

ვიზუალური მედიის ეფექტურად გამოყენება სკოლაში ვიზუალური წიგნიერების დანერგვის აუცილებელი პირობაა.

**რა არის ვიზუალური წიგნიერების უნარი?**

ვიზუალური წიგნიერება არის ვიზუალური მედიის გაგების უნარი, რომელიც არ არის აუდიო და ტექსტური/წერილობითი ენა. მისი მნიშვნელობა გამოსახვით ენაშია, რადგან ბევრი ინფორმაციის გადაცემა და კომუნიკაცია ხდება ვიზუალური მასალის მეშვეობით.

**რა განსხვავებაა ვერბალურ და ვიზუალურ წიგნიერებას შორის?**

მარტივად რომ ვთქვათ, ვერბალური არის კომუნიკაცია სიტყვებით ან სალაპარაკო ენით, ვიზუალური წიგნიერება კი იყენებს სიმბოლოებს, ილუტრაციებსა და სურათებს. ეს არის გამომსახველობითი ფორმებით ინფორმაციის მიღება.

**რა არის ვიზუალური წიგნიერების ძირითადი ელემენტები, ვიზუალური მედიის გრამატიკა და სინტაქსი?**

იმისათვის, რომ დავეხმაროთ მოსწავლეებს გახდნენ ვიზუალურად განათლებულები, კარგი იდეაა დავსახოთ ხელოვნების სასწავლო აქტივობები, რომლებიც დაეხმარება მათ ვიზუალური კონტექსტის პრაქტიკულ გაგებაში, იმ ელემენტებისა და როლის ამოცნობაში, რომლებიც ქმნის ვიზუალური წიგნიერების კონცეფციას.

**ვიზუალური წიგნიერებისათვის საჭირო გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვიზუალური წიგნიერება გულისხმობს სურათების, დიაგრამების, გრაფიკებისა და სხვა ვიზუალური მასალის გააზრებისა და მათგან ინფორმაციის ამოღების უნარს. ეს კი თანამედროვე სამყაროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, რადგან დღეს-დღეობით ინფორმაციის დიდი ნაწილი ვიზუალური სახით გვხვდება. ვიზუალური წიგნიერების მქონე მოსწავლეებს მარტივად შეუძლიათ გაიგონ იდეა და ჩანაფიქრი. მასალის ანალიზით კი ვითარდება მათი კრიტიკული აზროვნების უნარი.




## ხელოვნება, როგორც ვიზუალური წიგნიერება

*ალტამირა, ესპანეთი, გამოქვაბულის მხატვრობა*



*ვასილ კანდინსკი, კომპოზიცია 8, 1923 წ.*

ხელოვნება და ვიზუალური წიგნიერება მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ხელოვნება კომუნიკაციის უნივერსალური ენაა, რომელიც სხვადასხვა სახვითი საშუალებებით აერთიანებს ხელოვანს, მის ჩანაფიქრსა და სათქმელს აკავშირებს საზოგადოებასთან. ის ხშირად იყენებს სიმბოლოებსა და მეტაფორებს იდეების გადმოსაცემად. ვიზუალური წიგნიერების დახმარებით კი ჩვენ შეგვიძლია ამ სიმბოლოების გაშიფვრა და ხელოვნების ნიმუშის უფრო ღრმა საზრისების გაგება. ხელოვნების ნიმუშის გაგება ასევე მოითხოვს მისი შექმნის ისტორიული და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებას და მის დაკავშირებას სხვადასხვა მნიშვნელოვან მოვლენებთან. პრეისტორიული ხანის მხატვრობიდან დაწყებული დღემდე ვიზუალური წიგნიერების ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად სწორედ ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშები გვევლინება.

### როგორ შეიძლება აღვწერო ის, რასაც ვხედავ?

ძირითადი სახვითი ელემენტების ცოდნა ეხმარება მოსწავლეს, გაიგოს ვიზუალური ხელოვნების არსი. ფერის, ხაზის, ფორმის, სივრცის, ტექსტურისა და სხვა ელემენტების ერთობლიობა ქმნის კომპოზიციას, როგორც ტექსტს. სწორედ ამიტომ, ვიზუალური ხელოვნება განათლების ერთ-ერთი მთავარი წყაროა.

ხელოვნების საგნის სწავლებისას ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი ამოცანაა ნამუშევრის ანალიზი. ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის გათვალისწინებით კი, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, მოსწავლეებმა თვითონ შეძლონ ნამუშევრის აღწერა, ანალიზი, ინტერპრეტაცია და შეფასება. ყოველივე ეს უნდა განახორციელონ სახვით ელემენტებსა და პრინციპებზე დაკვირვებით. კომპოზიციის დაშლა ცალკეულ ელემენტებად, თითოეულის მნიშვნელობისა  და სიმბოლიკის ამოცნობა დაეხმარება მათ, არა მხოლოდ მშრალ აღწერაში, არამედ ხელოვანის იდეის ამოცნობაში. ვფიქრობთ, რომ მზა მასალისა და რესურსების მიწოდებით მათი დაკვირვების ხარისხი ნაკლებია.  უფრო ეფექტური კი  საკუთარი აღმოჩენებითა და მიგნებებით  ნამუშევრის წაკითხვაა. ამისთვის ხშირად ვიყენებთ დამაზუსტებელ კითხვებს, რათა კონსტრუქტივისტული მიდგომით მოსწავლემ თავად შეძლოს ცოდნის აგება. შემდეგ ეტაპზე კი ხელოვანის  ეპოქის, რელიგიის, კულტურული, ტრადიციული თავისებურებების გაცნობის შედეგად, მათი წარმოდგენა უფრო გასაგები გახდება.

**„წავიკითხოთ“  ნამუშევარი:**

*პაბლო პიკასო, გერნიკა, 1937 წ.*

| | |
|---|---|
| რა არის გამოსახული ნამუშევარზე? | |
| შენი აზრით, რა არის სურათზე მთავარი? რატომ? | |
| კომპოზიციურად როგორ არის განაწილებული გამოსახულებები? | |
| როგორია ფიგურების ფორმები და როგორ შეეფარდება ისინი ერთმანეთს? | |
| როგორ ფერებს იყენებს მხატვარი? | |
| აქვს თუ არა ნამუშევარში გამოყენებულ ფერებს რაიმე სიმბოლური მნიშვნელობა? | |
| შენი აზრით, არის თუ არა ნამუშევარში რაიმე სიმბოლო? | |
| რა განწყობა და შთაბეჭდილება შექმნა მხატვარმა ამგვარი კომპოზიციური წყობით? | |
| რა განწყობა გექმნება ამ ნამუშევრის ნახვისას? | |
| შენი აზრით, რას მოგვითხრობს ეს ნამუშევარი? | |

ვიზუალური წიგნიერების როლი დიდია საგნობრივი ტერმინოლოგიის სწავლების თვალსაზრისით. გლობალიზაციის პირობებში სასწავლო პროცესში აქტიურად შემოვიდა სხვადასხვა ტერმინი. არსებობს როგორც სახელოვნებო, ასევე ტექნიკური, სამედიცინო და სხვა ტერმინები, რომლებიც კლასიფიცირდება სხვადასხვა დისციპლინის მიხედვით. ვიზუალური წიგნიერების სტრატეგიების გამოყენებით კი მოსწავლეებს გაუადვილდებათ ვიზუალური და კონცეპტუალური მხარეების ერთმანეთთან დაკავშირება.

ვიზუალური წიგნიერება არის საკომუნიკაციო ინსტრუმენტი, რომელიც არსებობს იმისთვის, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს ურთიერთობაში, იდეების გაზიარებაში, ტექსტუალური მასალის უკეთ აღქმასა და დასწავლაში. სწორედ ამიტომ, ვიზუალური წიგნიერება თანამედროვე სამყაროში სწავლების ერთ-ერთი ეფექტური და მნიშვნელოვანი სტრატეგიაა.

# დაინახე, რასაც კითხულობ - ანუ წარმოსახვის რიტუალი

**ქეთი ჯოლბორდი**

*მწერალი*

წაკითხულის წარმოსახვა არის ის უნარი, რომელიც კითხვას შემოქმედებით პროცესად გარდაქმნის. ამ დროს მკითხველი მხოლოდ შთაბეჭდილების მიმღების როლში კი არ გვევლინება, არამედ აქტიური თანაშემოქმედის ამპლუასაც ირგებს.
ალბათ მესამე კლასში ვიქნებოდი, ასტრიდ ლინდგრენის განსაკუთრებულ ნაწარმოებებს პირველად რომ გავეცანი. უდიდესი მსოფლიო საბავშვო მწერლის თავისებურად მომნუსხველი ამბები ვერცერთ მკითხველს ვერ დატოვებს გულგრილს. გინდა თუ არ გინდა, მთელი ბავშვობა მოგყვება ლინდგრენის მისტიციზმით სავსე სამყარო.

პეპის კითხვისას შენდა უნებურად ერთვები ტექსტის მედიტაციურ, ჯადოსნურ ტემპში და თითოეული პასაჟის მონაწილე ხდები. ამ დროს ძნელია ცდუნებას გაუძლო და არ გაჰყვე ნაწარმოების ლიტერატურულ ამინდს; წარმოსახვით ოცნებებზე რაიმემ გათქმევინოს უარი, ხომ საერთოდ წარმოუდგენელია.

“ - ახლა ხომ წვიმს, პეპი, - გაუკვირდა ტომის, - წვიმის დროს ვინ რწყავს ყვავილებს?
- მე ვრწყავ, - უპასუხა პეპიმ. - მე იქნებ მთელი ღამე გავათენე იმაზე ოცნებაში, დილას როგორ მოვრწყავდი ყვავილებს და ამ ქეციანი წვიმის გამო ოცნება ვერ უნდა ავისრულო? ვფიცავ, არასდროს გავიზრდები იმაზე დიდი, რომ შემრცხვეს წვიმაში ყვავილების მორწყვა!!!“.

ძალიან ბევრი წლის წინ, როდესაც ნაწარმოებში ეს შთამბეჭდავი პასაჟი ამოვიკითხე, ბებიამ მითხრა: “თვალებზე თითები მიიფარე და ფერადი ყვავილები გაჩნდებიან.“ ალბათ ეს, ცოტა არ იყოს, სასაცილო და ბავშვური ფოკუსი იყო შემდგომში წარმოსახვითი უნარების გამძაფრების მოტივაცია და კითხვა იქცა წარმოსახვის რიტუალად.
რეალურად კი, კულტურული ქაოსის პირობებში, ცხოვრების მასშტაბური ტრანსფორმაციები ცვლის ადამიანების ყოფას, ხასიათს და მათ მიერ ემოციური გამოცდილებების აღქმას.

თანამედროვე სამყარო დემისტიფიკაციას დაექვემდებარა და განდევნა ჯადოქრობის, მისტიციზმის, ზღაპრების როლი და ფუნქცია. ასეთ ფონზე ადამიანებს საკუთარი იდენტობის, გამოცდილებისა თუ განცდების აღქმაც ამ იდუმალებისგან განძარცვულ სამყაროში გვიწევს, მაგრამ არ გვავიწყდება ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებების ფერი, დრო და სურნელი, რომელიც ლიტერატურული ტექსტების გაცნობისას არქეტიპებად ჩარჩა მეხსიერებაში და საკმარისია ამ ნაწარმოებების გახსენება, რომ მათთან დაკავშირებული თითოეული მომენტი კადრებად გაცოცხლდეს თვალწინ.

დაინახე, რასაც კითხულობ! ერთი შეხედვით, არაფერია ამ პროცესში უცნაური. სიტყვიერი და ვიზუალური გზებით წარმოსახვის სტიმულირება ყოველი ახალი კითხვისას ჩააფიქრებს მკითხველს, გააფართოებს შთაბეჭდილებების მასშტაბებს და ნარატივთან ურთიერთობის გამოცდილებას სენსორულ სიამოვნებამდე მიიყვანს. სწორედ აქ დევს ლიტერატურის დანიშნულების მთავარი კოდი, ისაა ფიქრის ინსპირატორი და ის აფართოებს აზროვნების სივრცეს.

და ისევ მახსენდება - "თვალებზე თითები მიიფარე და ფერადი ყვავილები გაჩნდებიან"...

წლების წინ მიღებული მძაფრი შთაბეჭდილებები ვუალირებულია დიახ, სწორედ ლიტერატურით, მის მიერ ნაკარნახევი წარმოსახვითი იმპულსებით, რაც შეუძლებელია წაიშალოს მეხსიერებიდან.

და რა ფერია თქვენს წარმოსახვაში პეპის მორწყული ყვავილები?

**მარეხ მაზანაშვილი**

*STEAM-ის ექსპერტი*

STEM განათლება (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა) ბოლო ორი ათწლეულია გლობალურად მოთხოვნადი გახდა მთელ მსოფლიოში. იგი ცვლის სასწავლო კურიკულუმის საკვანძო ფოკუსს ისე, რომ STEM სწავლების მიდგომები დაემთხვეს სწავლებისა და სწავლის ინტერდისციპლინურ მიდგომებს. სწავლების ეს ფორმა ისეა გააზრებული და განხორციელებული, რომ ფარავს მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო დისციპლინურ საგნებში სტანდარტის შედეგებს, ამტკიცებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს ინტერდისციპლინური პროექტების განხორციელების პროცესში.

აკრონიმი STEM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა) კვლევასთან ერთად სულ უფრო პოპულარული ხდება მთელ მსოფლიოში როგორც სასკოლო, ასევე საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში. STEM განათლება და კვლევა სულ უფრო მეტად არის აღიარებული, როგორც ეროვნული განვითარების, ეკონომიკური პროდუქტიულობისა და სოციალური კეთილდღეობის ფუნდამენტური მამოძრავებელი ძალა. სასკოლო კურიკულუმებში STEM-ი დიდწილად ფოკუსირებულია მათემატიკასა და მეცნიერებაზე. ეს არის ძირითადი, მაღალი სტატუსის მქონე დისციპლინური საგნები, თუმცა ზოგ შემთხვევაში, ეს საგნები იწვევს მოსწავლეთა ნაკლებ ინტერესს სასწავლო პროცესში.

საქართველო 2009 წლიდან ჩართულია მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამაში (PISA). პროგრამა აფასებს 15 წლის მოსწალეების ცოდნასა და უნარებს მათემატიკაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში და წაკითხული ტექსტის გააზრებაში. PISA-ს კვლევის მიზანია შეაფასოს, თუ რამდენად მზად არიან მოსწავლეები რეალურ ცხოვრებაში კრიტიკულად და ანალიტიკურად აზროვნებისთვის, პრობლემების გადაჭრისთვის და ახალი ცოდნის შეძენისთვის.




გრაფიკზე წარმოდგენილია 2009, 2015, 2018 და 2022 წლის ქართველი მოსწავლეების შედეგები.

PISA 2022-ის  მიხედვით, საქართველოს 15 წლის მოსწავლეებს მათემატიკაში 390 (OECD-ის საშუალო 472) ქულა აქვთ, კითხვასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში - 374 (OECD-ის საშუალო 476) და 384 (OECD-ის საშუალო 485).

OECD ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (Organization for Economic Co-operation and Development ) არის საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაცია  განვითარებული ქვეყნებისა, რომლებიც ცნობენ წამომადგენლობითი დემოკრატიისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. დღესდღეობით მისი წევრი ქვეყნებია: ავსტრალია, ავსტრია, ახალი ზელანდია, აშშ, ბელგია, გერმანია, დანია, გაერთიანებული სამეფო, ესპანეთი, იაპონია, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია, ჩილე, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ისრაელი, კორეა, მექსიკა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, თურქეთი.

საქართველოსა და სხვა განვითარებად ქვეყნებში PISA-ს კვლევები აჩვენებს, რომ მოსწავლეები ხშირ შემთხვევაში ჩამორჩებიან რაოდენობრივი წიგნიერების მიმართულებით. გამოწვევები მოიცავს სასწავლო რესურსების ნაკლებობას, განათლების ხარისხის გაუმჯობესების საჭიროებას და სწავლების მეთოდების განახლებას. ამ კვლევებს ქვეყნები იყენებენ როგორც განათლების რეფორმების ანალიზის საფუძველს. კვლევა აჩვენებს, სად არის სუსტი მხარეები და რომელი ასპექტების გაუმჯობესებაა საჭირო.

საქართველოს მოსწავლეები, ყოველი ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით,  საშუალო მაჩვენებელზე დაბალ ქულას აჩვენებენ, რაც გამოწვევას წარმოადგენს  მათემატიკური,  საბუნებისმეტყველო შინაარსის პრობლემების გადაჭრისა და ლოგიკური აზროვნების უნარების მიმართულებით.

STEM სწავლების მიზნები ემსახურება იმას, რომ მოსწავლეები თანამედროვე სამყაროში წარმატებისთვის საჭირო უნარებით აღიჭურვონ, როგორიცაა კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება და პრობლემების გადაჭრის უნარი. ეს მიზნები ზუსტად ეხმაურება PISA -ს კვლევის მიზნებს. STEM სწავლების  მიზნები ფართო სპექტრს მოიცავს და ხელს უწყობს ტექნიკური, მათემატიკური, საბუნებისმეტყველო და ზოგადი სასწავლო უნარების განვითარებას. სწავლება მოიცავს მრავალმხრივ აქტივობებს, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გააუმჯობესონ ციფრული, ლოგიკური და საბუნებისმეტყველო უნარები რეალური, პრაქტიკული სწავლებით. STEM სწავლება აერთიანებს რამდენიმე საგანს ერთიან კონტექსტში, რაც მოსწავლეებს ეხმარება გააცნობიერონ კავშირები მათემატიკასა და მეცნიერებას შორის. ეს ინტეგრაცია ქმნის სიღრმისეულ გაგებას, სადაც, მაგალითად, ფიზიკის კონცეფციები დაკავშირებულია მათემატიკურ მოდელებთან ან ქიმიის მონაცემებთან, რაც მეტად აძლიერებს თითოეულ საგანს.

STEM სწავლებისას მოსწავლეები არა მხოლოდ თეორიულად ეუფლებიან მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო უნარებს, არამედ პრაქტიკულადაც იყენებენ მათ, რაც ნასწავლის დამახსოვრებას უწყობს ხელს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერების სფეროში ანალიზისთვის მათემატიკის გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, ფიზიკაში მოძრაობის მოდელირებისას მოსწავლეები იყენებენ განტოლებებსა და ფორმულებს, ხოლო ბიოლოგიაში მონაცემთა ანალიზისთვის იყენებენ სტატისტიკას. ეს მათ ეხმარება რაოდენობრივი აზროვნების განვითარებაში.

ექსპერიმენტებისა და კვლევების მეშვეობით მოსწავლეები ეცნობიან მეცნიერების პროცესს და იმავდროულად ვითარდებიან გამოთვლით უნარებში; მაგალითად, ქიმიის ექსპერიმენტებში ისინი სწავლობენ ხსნარების კონცენტრაციის გამოთვლას, ფიზიკაში – ენერგიისა და ძალის ოდენობის დათვლას, რაც ხელს უწყობს მათემატიკური უნარების გაუმჯობესებას.

მათემატიკური და ლოგიკური აზროვნება STEM საგნების საფუძველია. პროგრამირება, რომელიც STEM სწავლების ნაწილია, მოსწავლეებს ლოგიკური აზროვნების გაძლიერებასა და პროგრამების ალგორითმის  შემუშავებაში ეხმარება. ამ პროცესში მოსწავლეები იძენენ პრობლემების სისტემურად აღქმის უნარს, რაც მათემატიკური და მეცნიერული გამოწვევების სწრაფად და ეფექტურად გადაჭრის საშუალებას იძლევა. ციფრული ინჟინერია და ტექნოლოგიები მოსწავლეებს ასწავლის პრობლემების გადასაჭრელად  ეტაპების სტრუქტურირებას, რისთვისაც ისინი იყენებენ მათემატიკურ გათვლებს და ალგორითმებს, საბუნებისმეტყველო კანონებს ოპტიმალური გამოსავლების მისაღწევად. ეს პროცესი ხელს უწყობს მათემატიკური აზროვნების განვითარებას სტრატეგიული მიდგომით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია რაოდენობრივი წიგნიერების განვითარებისთვის სასწავლო პროცესში.

STEM სწავლება მრავალ გამოწვევას აწყდება, რაც მისი ეფექტური განხორციელებისა და მოსწავლეების ჩართულობის უზრუნველყოფის პროცესს ართულებს. აქედან ზოგიერთი გამოწვევა გლობალურია, ზოგიც კონკრეტული რეგიონის სო-ციალურ, ეკონომიკურ ან კულტურულ მდგომა-

რეობას უკავშირდება. ამასთანავე, STEM სწავლებისას ინტერდისციპლინური მიდგომის დანერგვა სკოლებში საკმაოდ რთული ამოცანაა, რადგან ამ დისციპლინებში გაყოფილი სწავლება არ აძლევს მოსწავლეებს საშუალებას, რეალური პრობლემების სრული სურათი დაინახონ. საგნების ერთმანეთთან დაკავშირება, კომპლექსური ამოცანების ერთობლივად განხილვა და პრაქტიკული გამოცდილების შეძენა ინტერდისციპლინური მიდგომის მეშვეობით ხშირად არ არის ხელმისაწვდომი ყველა სკოლაში. STEM სწავლება მოითხოვს საკმარისი რაოდენობის ლაბორატორიებს, ტექნიკურ აღჭურვილობას და შესაბამის სასწავლო მასალებს, რაც ხშირად ძვირადღირებულია და ადვილად ხელმისაწვდომი არ არის. სკოლის დონეზე, განსაკუთრებით კი სოფლად, რესურსების დეფიციტი ამცირებს STEM სწავლების ხარისხსა და მოცულობას. STEM საგნების კვალიფიციურ მასწავლებელთა ნაკლებობაც სერიოზული გამოწვევაა. STEM დარგები სპეციფიკურ ცოდნასა და უნარებს მოითხოვს, რაც ყველა პედაგოგს არ გააჩნია. ამასთან, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიების სწრაფი განვითარება მასწავლებლებისთვის უწყვეტი გადამზადების აუცილებლობას ქმნის, რაც ასევე სირთულეებს აჩენს.

STEM დისციპლინები, მეცნიერებები შეიძლება რთულად აღსაქმელი იყოს ბევრი მოსწავლისთვის, რაც იწვევს დაბალ ინტერესსა და ჩართულობას, განსაკუთრებით მაშინ, თუ სწავლება თეორიულად და ნაკლებად ინტერაქტიულად მიმდინარეობს. STEM საგნებში ჩართულობის დასაწყისშივე უზრუნველყოფა ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ხანგრძლივი მოტივაციისთვის. ტექნოლოგიური განვითარება და ცვლილებები STEM სწავლებისთვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის, თუმცა, იმავდროულად, მუდმივი განახლების საჭიროებასაც აყენებს. სკოლებისთვის რთულია მუდმივად ახალი პროგრამებისა და ხელსაწყოების დანერგვა, რაც ხშირ შემთხვევაში ფინანსური მხარდაჭერისა და სპეციალისტების ნაკლებობითაა განპირობებული. STEM საგნებში მოსწავლეთა ცოდნის დონის მნიშვნელოვანი სხვაობა STEM განათლების კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს. ზოგი მოსწავლე უფრო მომზადებულია მათემატიკასა და მეცნიერებებში, ზოგი კი ნაკლებად. ამ დისბალანსის გათანაბრება რთულია, განსაკუთრებით, თუ საგნის შესასწავლად შესაბამისი დრო და რესურსები არ არის.

STEM სწავლებაში რაოდენობრივი წიგნიერების (Quantitative Literacy) განვითარებას მნიშვნელოვანი გამოწვევები ახლავს, რომლებიც სწავლის ეფექტურობასა და მოსწავლეების ჩართულობაზე ახდენს გავლენას. რაოდენობრივი წიგნიერების ცოდნა STEM საგნების სწავლისთვის კრიტიკულია, რადგან ის მოსწავლეებს ეხმარება მონაცემების ანალიზში, შედეგების გააზრებაში და გადაწყვეტილებების საფუძვლიანად მიღებაში.

განვიხილოთ ის ძირითადი გამოწვევები, რომლებიც STEM სწავლებაში რაოდენობრივი წიგნიერების განვითარებას უკავშირდება:

- **ძირითადი მათემატიკური უნარების დეფიციტი**

ბევრ მოსწავლეს არ აქვს სათანადო ცოდნა საბაზისო მათემატიკურ უნარებში, როგორიცაა პროცენტების გაანგარიშება, ფრაქციები, გრაფიკების წაკითხვა და მონაცემების ანალიზი. ეს დეფიციტი რაოდენობრივი წიგნიერების მიღებას აფერხებს, რაც STEM სწავლების პროცესში რთულ საკითხების ათვისებას უშლის ხელს და, შესაბამისად, მოსწავლეების ჩართულობა და მოტივაციაც მცირდება.

- **მასწავლებლების გადამზადება და რესურსების ნაკლებობა**

STEM საგნების მასწავლებლებს შეიძლება არ ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა ან რესურსები, რომ ეფექტურად განავითარონ რაოდენობრივი წიგნიერება. საჭიროა შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლები და მათთვის განკუთვნილი სასწავლო მასალები. სასწავლო რესურსების ნაკლებობა და მასწავლებლების გადამზადების დაბალი ინტენსივობა სწავლა/სწავლების პროცესს აფერხებს.

- **მოსწავლეთა დონის მრავალფეროვნება და ინდივიდუალური საჭიროებები**

მოსწავლეებს სხვადასხვა დონეზე აქვთ განვითარებული რაოდენობრივი უნარები. ზოგიერთი მოსწავლე გაცილებით ძლიერია, სხვებს კი შედარებით ნაკლები ცოდნა აქვთ. ამ განსხვავებების გათანაბრება რთულია და მასწავლებლებს სპეციალური მიდგომები სჭირდებათ, რათა კლასში ყველა მოსწავლეს თანაბრად და ერთდროულად მიაწოდონ მასალა და ჩართონ მათთვის საინტერესო ფორმატში.

- **თეორიული სწავლების სირთულე და პრაქტიკული კონტექსტების ნაკლებობა**

რაოდენობრივი წიგნიერება ხშირად მხოლოდ თეორიულ კონტექსტში ისწავლება, რის გამოც მოსწავლეებს უჭირთ მისი გამოყენება პრაქტიკულ მაგალითებში. მაგალითად, რეალური მონაცემების ანალიზი, ექსპერიმენტების შედეგების გაანგარიშება და მოდელირება უნდა იყოს სწავლების პროცესში ჩართული, თუმცა ამგვარი პრაქტიკული აქტივობები ხშირად არ არის საკმარისად ინტეგრირებული.

- **მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია და შიშები რაოდენობრივი საგნების მიმართ**

ბევრ მოსწავლეს სირთულის გამო აშინებს რაოდენობრივი საგნები და, შესაბამისად, ინტერესი STEM-ის მიმართ მცირდება. ამ შიშის დაძლევით, მოსწავლეები გაიაზრებენ რაოდენობრივი უნარების მნიშვნელობას.

- **რეალური ცხოვრების მონაცემთა ანალიზის გამოცდილების ნაკლებობა**

მოსწავლეები ხშირად მუშაობენ მათემატიკის ამოცანებზე, მაგრამ რეალური მონაცემების ანალიზის გამოცდილება იშვიათად აქვთ. ეს ეხება მონაცემთა ბაზებზე მუშაობას, ექსპერიმენტების შედეგებს, ფინანსურ ანალიზს და სხვა პრაქტიკულ სიტუაციებს, როდესაც რაოდენობრივი წიგნიერება საჭირო ხდება.

- **ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების ნაკლებობა**

ტექნოლოგიების გამოყენება რაოდენობრივი წიგნიერების სწავლების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია, თუმცა ბევრ სკოლაში არ არის შესაბამისი ტექნოლოგიური საშუალებები, რომლებიც მოსწავლეებს მონაცემთა ვიზუალიზაციაში და ანალიზში დაეხმარება. ინოვაციური ტექნოლოგიების ნაკლებობა სასწავლო პროცესს ართულებს და მოსწავლეთა ინტერესისა და ცოდნის დონის შემცირებას იწვევს.

- **ინტერდისციპლინური სწავლების ნაკლებობა**

რაოდენობრივი წიგნიერების ჩართვა მხოლოდ STEM საგნებში ვერ უზრუნველყოფს მის განვითარებას. საჭიროა ინტერდისციპლინური მიდგომა, რომლის დროსაც სხვადასხვა საგანი შეერთებულია და მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, ერთი სფეროდან მიღებული ცოდნა სხვა სფეროში გამოიყენონ. ასეთი ინტერდისციპლინური მიდგომის ნაკლებობა ხელს უშლის მოსწავლეების რაოდენობრივი უნარების რეალურ ცხოვრებაში გამოყენებას.

## ■ კულტურული ბარიერები და საგანმანათლებლო სტერეოტიპები

ბევრ კულტურაში რაოდენობრივი უნარები სტერეოტიპულად ასოცირდება მხოლოდ მათემატიკაში „ნიჭიერ“ მოსწავლეებთან, რაც STEM საგნებზე სტუდენტების შეხედულებებს ცვლის. შედეგად, ბევრი მოსწავლე თავს არიდებს მონაცემებზე მუშაობას და მათი გაანალიზების პროცესს. ამგვარი კულტურული ბარიერების დაძლევა და მოსწავლეებისთვის რაოდენობრივი წიგნიერების მნიშვნელობის უკეთ გააზრება ამცირებს ამ შეზღუდვებს.

STEM სწავლებაში რაოდენობრივი წიგნიერების განვითარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, თუმცა მას ბევრი გამოწვევა ახლავს. ამ გამოწვევების დაძლევა, სპეციალისტების მომზადება, რესურსების შექმნა და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირება დაეხმარება განათლებას, რომ STEM საგნები უფრო პრაქტიკული, ინტერაქტიული და ხელმისაწვდომი გახდეს მოსწავლეებისთვის. ამ მიმართულებით გაუმჯობესებები არა მხოლოდ მოსწავლეების აკადემიურ წარმატებას, არამედ მათ კარიერულ განვითარებასაც განაპირობებს, რაც STEM სფეროებში მომავალი წარმატებისთვის აუცილებელია.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება STEM საგნების ასათვისებლად ეფექტურია, თუმცა დროისა და რესურსების საჭიროებას გულისხმობს. მოსწავლეების ჩართულობისთვის საჭიროა ბევრი პრაქტიკული ამოცანა, მოდელირება და კვლევა, რაც ხშირად ტრადიციულ სასწავლო გრაფიკსა და პროგრამას რთულად ერგება. მრავალ საზოგადოებაში STEM სფეროებზე სტერეოტიპული დამოკიდებულება კვლავ არსებობს. ხშირად ბავშვები ფიქრობენ, რომ STEM დისციპლინები მხოლოდ „ნიჭიერი“ ან „მაღალი IQ-ს“ მქონე მოსწავლეებისთვისაა, რაც აფერხებს მათ ჩართულობას ამ დარგებში.

შესაბამისად, STEM სწავლების მიდგომებით რაოდენობრივი წიგნიერების განვითარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, თუმცა მას ბევრი გამოწვევა ახლავს. ამ გამოწვევების დაძლევა, სპეციალისტების მომზადება, რესურსების შექმნა და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირება დაეხმარება განათლებას, რომ STEM საგნები უფრო პრაქტიკული, ინტერაქტიული და ხელმისაწვდომი გახდეს მოსწავლეებისთვის. ამ მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესება არა მხოლოდ მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ მოსწრებას, არამედ მათ კარიერულ განვითარებასაც განაპირობებს, რაც აუცილებელია STEM სფეროებში მომავალი წარმატებისთვის.

## მაია ჩამუნავა

*ფინანსური განათლების განყოფილების სპეციალისტი; ფინანსური განათლებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი*

*"სწავლა-განათლება თვითონ არის სათავე სიმდიდრისა, მაშასადამე, აქ არაფრის დაზოგვა არ უნდა, რომ ამ სათავიდან სიმდიდრის წყარო მოვადინოთ" - ილია ჭავჭავაძე*

ფინანსურ თემებთან ურთიერთობას და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას ადამიანი ადრეული ასაკიდანვე იწყებს. ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, მოთხოვნილებების, სურვილების, მიზნების, გარემოებების შესაბამისად, ახალ-ახალი ფინანსური გამოწვევები და შესაძლებლობები ჩნდება. ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ტემპი დღევანდელ მსოფლიოს სრულიად შეცვლილი რეალობის წინაშე აყენებს, რომელში ორიენტირებაც გარკვეული ცოდნისა და უნარების გარეშე თითქმის წარმოუდგენელია. აქედან მომდინარეობს ფინანსური წიგნიერების განსაკუთრებული საჭიროებაც და მისადმი გაზრდილი ინტერესიც.

### რა არის ფინანსური წიგნიერება?

ფინანსური წიგნიერება ადამიანის მიერ სხვადასხვა ფინანსური უნარის სწორად და ეფექტიანად გამოყენებას ნიშნავს. ეს იმ საბაზისო ცოდნისა და უნარების ერთობლიობაა, რომლებიც ბიუჯეტირებიდან და დაზოგვიდან დაწყებული, ფინანსური ვალდებულებების მართვითა და საპენსიო ასაკის დაგეგმვით დამთავრებული, ყოველდღიურად მნიშვნელოვანი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებისას გვჭირდება.

იგი აუცილებელ ცოდნას გვძენს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, რაც ფინანსური სტაბილურობის, ნაკლები სტრესისა და ცხოვრების უფრო მაღალ ხარისხის მოპოვების საწინდარია.

ფინანსური წიგნიერება არ გულისხმობს აუცილებლად ფორმალურად აკადემიური საგნების, სასწავლო პროგრამების, კურსების გავლით მიღებულ ცოდნას ან ამ გზით დაუფლებულ პროფესიას, თუმცა, რა თქმა უნდა, ამას არც გამორიცხავს. ამიტომ მას ხშირად ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ კომპეტენციასაც უწოდებენ.

ფინანსური წიგნიერება საკუთარი ფინანსების მართვაში, არსებულ გამოწვევებთან გამკლავებასა და შესაძლებლობების დანახვაში გვეხმარება. მას გადამწყვეტი როლი აქვს ჯანსაღი ფინანსური მდგომარეობის მიღწევაში.

### ფინანსური წიგნიერების ძირითადი კომპეტენციები

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური წიგნიერება ძალიან ფართო ცნებაა, მაინც არის შესაძლებელი კონკრეტული კომპეტენციების გამოყოფა.

## ბიუჯეტირება და ხარჯების მართვა

ბიუჯეტირების პროცესის ეფექტიანად წარმართვა ფინანსური შემოსავლებისა და გასავლების ზედმიწევნით აღრიცხვას, რეალური მიზნების დასახვას და ხარჯვით ქცევაზე ყურადღების გამახვილებას მოითხოვს.

ხარჯების გონივრული მართვის უნარი არასაჭირო ხარჯების აღმოფხვრასა და აუცილებელ ხარჯებზე კონცენტრირებით გაცნობიერებული, არაიმპულსური გადაწყვეტილებების მიღებას უკავშირდება.

ბიუჯეტირებისა და ხარჯების მართვის უნარების დაუფლებით, შესაძლებელი ხდება სტაბილური ფინანსური მდგომარეობის შენარჩუნება, ვალების დაგროვებისთვის თავის არიდება და სამომავლო მიზნებისთვის დაზოგვა.

## დაზოგვა და ინვესტირება

დაზოგვა შემოსავლების ნაწილის სამომავლო გამოყენებისთვის გადადებაა, ხოლო ინვესტირება იმ დანაზოგი ფულის აქტივებსა და საწარმოებში ჩადებაა, რასაც პოტენციური სარგებლის გაზრდა შეუძლია. დაზოგვა დანაზოგი თანხით უზრუნველგვყოფს, სწორად ინვესტირება კი ჩვენს თანხებს გაზრდის.

## სესხის მართვა

ვიყოთ ფინანსურად წიგნიერნი ნიშნავს: გვესმოდეს, რომ ჩვენი საკრედიტო ქულა საპროცენტო განაკვეთზე აისახება, კარგად ვიცნობდეთ სესხის გაცემის პირობებს, შემუშავებული გვქონდს მისი ეფექტიანად დაფარვის სტრატეგია და ა.შ..
ასევე, მნიშვნელოვანია, ვანსხვავებდეთ ე.წ. კარგ (მაგალითად, სტუდენტური სესხი, რომელიც შესაძლებელია, აღქმული იყოს, როგორც საკუთარ მომავალში ინვესტირება) და ცუდ (მაგალითად, ფუფუნების საგნისთვის - iPhone-ის ბოლო ვერსიის შეძენისთვის) სესხებს.

## საპენსიო ასაკისთვის მზადება

ფინანსური წიგნიერება პენსიის დაგეგმვასთან ერთად ამ პერიოდისთვის გასათვალისწინებელი სხვა დანაზოგების ცოდნასაც მოიცავს. საპენსიო ასაკის ყოვლისმომცველი დაგეგმვა სავარაუდო სიცოცხლის ხანგრძლივობას, ამ პერიოდში სასურველ ცხოვრების სტილს და ჯანდაცვის პოტენციურ ღირებულებას ითვალისწინებს.

## დაზღვევა და ფინანსური რისკების მართვა

სადაზღვევო პროდუქტები, როგორებიცაა: ჯანმრთელობის, სიცოცხლის, ქონების და ა.შ. დაზღვევა, სხვადასხვა რისკისგან დაცვას გვთავაზობს. დაზღვევის პირობებზე შეთანხმებისას სპეციფიკური გარემოებების მაქსიმალურად გათვალისწინება მეტად მნიშვნელოვანია.

ფინანსური რისკების მართვის სხვა სტრატეგია კი გადაუდებელი და გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის ცალკე ფონდის, ე.წ. „ფინანსური უსაფრთხოების ბალიშის“ შექმნას გულისხმობს.

## ფინანსური პროდუქტებისა და ცნებების ცოდნა

სხვადასხვა ფინანასური პროდუქტის შესახებ, მარტივი სადეპოზიტო ანგარიშებიდან რთულ დერივატივებამდე, ცოდნის სისტემატიურად გაფართოება აუცილებელია. ასევე, საჭიროა, კარგად ვერკვეოდეთ საბაზისო ცნებებში, როგორებიცაა: რთული საპროცენტო განაკვეთი, ინფლაცია, დაბეგვრა და ა.შ. ეს ცოდნა უზრუნველყოფს თავდაჯერებულობის განცდას და, ამავე დროს, ისეთი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც ინდივიდის მიზნებსა და რისკისადმი ტოლერანტობაზე იქნება მორგებული.

**საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების დონე**

საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების დონის შესაფასებლად აღსანიშნავია საერთაშორისო ორგანიზაციების - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია/ ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელი (OECD/INFE) - მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით ჩატარებული საერთაშორისო კვლევები, რომელთა ობიექტებიც ცალკეული ინდივიდები და მცირე მეწარმეები იყვნენ.

მოსახლეობის ფინანსური განათლების კვლევა ადასტურებს, რომ საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი აკონტროლებს ოჯახის ბიუჯეტს, თუმცა ფინანსური დამოკიდებულებების მხრივ, უმრავლესობა მოკლევადიან შედეგებზეა ორიენტირებული, იშვიათად ზოგავს გრძელვადიანი მიზნებისთვის, მათ შორის, საპენსიო ასაკისთვის, დანაზოგის შესანახად და თანხის სასესხებლად კი ხშირად  არაფორმალურ გზებს მიმართავს.

გამოკითხული მოსახლეობის დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ფული იმისთვისაა რომ დაიხარჯოს, ფინანსურ სტრესს კი ვალის აღებით უმკლავდება. ფინანსურად ინფორმირებული ადამიანი მოკლევადიანთან ერთად გრძელვადიან ფინანსურ მიზნებსაც ისახავს, გრძელვადიანი ფინანსური მიზნების მისაღწევად კი დანაზოგს ქმნის, უპირატესობას დაზოგვის ფორმალურ მეთოდებს ანიჭებს, დამატებითი სარგებელს იღებს და ფულსაც მეტად დაცულად ინახავს. ფორმალურ დაზოგვასა და დაზოგვის გზებზე ცნობიერების ამაღლებას გრძელვადიან პერიოდში სარგებლის მოტანა შეუძლია როგორც  საზოგადოებისთვის, ისე ქვეყანაში კაპიტალის ბაზრების განვითარებისთვის.

კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების დონე სხვა ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე დაბალია და განსაკუთრებულ გამოწვევას დამოკიდებულებები წარმოადგენს.




დაახლოებით ანალოგიური სურათია მეწარმეთა კვლევის შედეგებშიც.

**საქართველოს ეროვნული ბანკი ქვეყანის მოსახლეობის ფინანსური წიგნიერების დონის ამაღლებისთვის**

გარდა იმისა, რომ ფინანსური წიგნიერება თითოეული ინდივიდის ფინანსურ კეთილდღეობაზე ახდენს გავლენას, საკითხი მნიშვნელოვანია ზოგადად ქვეყნისათვისაც. ფინანსურად განათლებული მომხმარებელი, რომელსაც ინფორმირებული, გონივრული და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია, დიდ გავლენას ახდენს ქვეყანაში ჯანსაღი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებაზე და, შესაბამისად, საფინანსო სექტორის განვითარებასა და სრულყოფილ მუშაობაზე. ამავე დროს, გათვითცნობიერებულ და პასუხისმგებლობის მქონე მომხმარებელთან ურთიერთობა საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას უქმნის.

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას მომხმარებლის უფლებების დაცვა წარმოადგენს. საფინანსო ინსტიტუტებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული სამართლებრივი ჩარჩო არეგულირებს. ფინანსურად განათლებული, საკუთარ უფლება-მოვალეობებში გარკვეული მომხმარებელი საფინასო ინსტიტუტებთან ურთიერთობისას ნაკლებ შეცდომას უშვებს და მის მიმართ არასწორი ქმედების შემთხვევაშიც შეუძლია საკუთარი უფლებების დაცვა. ამიტომ, ეროვნული ბანკისთვის როგორც ფინანსურად განათლებული მომხმარებლის აღზრდა, ასევე, ზრდასრულ მოსახლეობაში ფინანსური განათლების დონის ამაღლება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

**ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია**

სწორედ ამ მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ქვეყნის მასშტაბით დაინტერესებული მხარეების შესაკრებად და ქმედითი ნაბიჯების გადასადგმელად, ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია ჯერ კიდევ 2016 წელს შეიმუშავა, ხოლო 2023 წელს მისი განახლებული ვერსია დაამტკიცა. თუ პირველი სტრატეგია ძირითადად საერთაშორისო გამოცდილებას და ზრდასრული მოსახლეობის ფინანსური განათლების პირველ, 2016 წლის კვლევის შედეგებს ემყარებოდა, 2023 წლის სტრატეგია უკვე საქართველოში დაგროვილ გამოცდილებასა და გამოწვევებს დაეყრდნო.

ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის შემუშავების, ისევე როგორც ფინანსური განათლების მისია იყო ისეთი გარემოს შექმნისთვის ხელშეწყობა, რომელშიც ეროვნული ბანკი და დაინტერესებული მხარეები მოსახლეობის ფართო მასებში ფინანსური განათლების გასავრცელებლად კოორდინირებულ მოქმედებას შეძლებდნენ, რის შედეგადაც მოსახლეობას ინფორმირებული ფინანსური გადაწყვეტილებებისა და საკუთარი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედებისთვის საჭირო: ინფორმაცია, ცოდნა, ქცევა, დამოკიდებულება, აგრეთვე, უნარები ექნებოდა.

სტრატეგიით განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები, დაისახა მიზნები, ეროვნულ ბანკში განხორციელდა შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით კი შეიქმნა ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მართვის კომიტეტი. ეს ის ორგანოა, რომელიც იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს და ყოველწლიურად შესრულებულ საქმიანობას აჯამებს. შედეგად, ქვეყნის მოსახლეობაში ფინანსური განათლების გავრცელებას საქართველოს ეროვნული ბანკი სახელმწიფო მასშტაბით უწევს კოორდინაციას.

**ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მთავარი სამიზნე ჯგუფები**

ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ერთ-ერთი დანიშნულება იმ მთავარი სამიზნე ჯგუფების განსაზღვრაცაა, რომელთათვის ფინანსური განათლების მათზე მორგებული შინაარსითა და არხებით მიწოდებაც პრიორიტეტულად მიიჩნევა. მოქმედი სტრატეგიის დოკუმენტის მიხედვით, ფინანსური წიგნიერების ზრდის საჭიროებებს შემდეგ სამიზნე სეგმენტებთან ვხვდებით:

- ახალგაზრდა თაობა;
- ზრდასრული მოსახლეობა;
- სოფლად მცხოვრები მოსახლეობა;
- ქალები;
- ემიგრანტები;
- მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეები.

აღნიშნული სამიზნე სეგმენტებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკი და მისი საგანმანათლებლო პლატფორმა „ფინედუ“, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, საქართველოს მასშტაბით არაერთ საგანმანათლებლო ღონისძიებას გეგმავს და ახორციელებს როგორც პირისპირ შეხვედრების გზით, ისე ონლაინ რეჟიმში.

**ფინანსური განათლების ვებგვერდი - www.finedu.gov.ge**

ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკის ინიცირებით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. მათ შორის განსაკუთრებულია 2020

წელს ფინანსური განათლების ვებგვერდის „ფინედუ“ (www.finedu.gov.ge) და მისი მხარდამჭერი სოციალური მედიის გვერდების შექმნა. ამ პლატფორმამ ერთი მხრივ, თავი მოუყარა ფინანსური განათლების გავრცელების მიზნით სხვადასხვა დროს შექმნილ მასალებს, მეორე მხრივ, ის ფინანსური განათლების დისტანციურად მიწოდების მთავარ არხად იქცა, რომლის საშუალებითაც ფინანსური განათლების არაერთი აქტივობა, საინფორმაციო კამპანია, კონკურსი, ტრენინგი, პირდაპირი ჩართვა და სხვა თემატური ღონისძიება ტარდება. აღსანიშნავია, რომ „ფინედუ“-ს პლატფორმაზე ეს მასალა ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის საჯაროდ და უფასოდაა ხელმისაწვდომი.

**ფინანსური განათლების მიმართულებით განხორციელებული ინიციატივები**

ბოლო წლებში, საქართველო, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ფინანსური განათლების ინიციატივების მრავალფეროვნებით, მოწინავე პოზიციას იკავებს.

უკვე ტრადიციად იქცა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის განკუთვნილი ფინანსური ცნობიერების ასამაღლებელი ყოველწლიური ღონისძიებების, კონკურსების, ტრენინგების ჩატარება; შეიქმნა ფინანსური განათლების პროგრამები, ბეჭდური საგანმანათლებლო და დამხმარე მასალები, მრავალფეროვანი ონლაინ და ვიდეომასალა, შემუშავდა არაერთი ტრენინგ-მოდული, ვიდეორგოლები, ჩატარდა ტრენინგები, განხორციელდა პირდაპირი ჩართვები და ა.შ..

საერთაშორისო თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების მხრივ, მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ჩართვა OECD-ის ტექნიკური დახმარების პროგრამაში, რომელიც საქართველოსთან ერთად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის 9 ქვეყანას აერთიანებს. ამ პროექტის ფარგლებში პირველ საერთაშორისო კონფერენციას საქართველომ უმასპინძლა.

**ფინანსური განათლება სკოლებში**

OECD-ის კვლევებისა და რეკომენდაციების თანახმად, ფინანსური განათლება რაც შეიძლება ადრე, სასკოლო ასაკიდან უნდა იწყებოდეს. ქართველ მოსწავლეებში ჩატარებულმა PISA-ს 2018 წლის და OECD-ის 2020 წლის კვლევებმა ახალგაზრდებში ფინანსური განათლების პრობლემის სიმწვავე გამოავლინა. პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად ჩამოყალიბებისათვის კი საჭირო იყო მათთვის ფინანსური უნარების განვითარება და ჯანსაღი ფინანსური ჩვევების ჩამოყალიბება.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო განათლების სამინისტროსა და ეროვნული ბანკის აქტიური თანამშრომლობის შედეგად, 2018 წელს დამტკიცებულ საბაზო საფეხურის ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში, საგანში „მოქალაქეობა“ ფინანსური და ეკონომიკური განათლების საკითხების შეტანა. ასევე, ეროვნული ბანკის მიერ შემუშავდა დამხმარე სახელმძღვანელოები საგნის მასწავლებლებისთვის და გადამზადდა 1000-მდე პედაგოგი.

გარდა ფორმალური განათლებისა, მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო ორგანიზაცია Child and Youth Finance International (CYFI)-თან თანამშრომლობით, საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლა-ბანკის“ ადაპტირება და მოხალისე მასწავლებლების გადამზადება.

ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებებიდანაც, ყველაზე მეტად მაინც მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის განკუთვნილი აქტივობები გამოირჩევა. უკვე ტრადიციად იქცა დაზოგვის დღისა და ფულის კვირეულის აღსანიშნავად „მოიწვიე ფინედუ კლასში“ სახელწოდების პროექტის განხორციელება, რომელშიც საქართველოს ეროვნული ბანკისა და პარტნიორი ორგანიზაციების თანამშრომლები სკოლებში ღია გაკვეთილებს ატარებენ. წელს აქაც სიახლეა - სკოლებში ჩატარებულ ღია გაკვეთილებზე მოსწავლეები ახალი ფინანსური განათლების სამაგიდე თამაშის საშუალებით ფინანსურ ტერმინებს შეისწავლიან.

**ფინანსური წიგნიერების ამაღლების გზები**

ფინანსური წიგნიერების ამაღლება საქვეყნო საქმეა, თუმცა საკუთარ განათლებაზე ზრუნვა, თითოეული ჩვენგანის ინტერესებშია.

**თვითგანვითარება და ონლაინ შესაძლებლობები**

ფინანსურ წიგნიერებასთან დაკავშირებულ კურსებს, სტატიებს, სახელმძღვანელოებსა და ინსტრუმენტებს მრავალი ონლაინ პლატფორმა, ვებგვერდი თუ აპლიკაცია გვთავაზობს. სწავლის სხვადასხვა სტილზე მორგებული ფორმატებიც მრავალფეროვანია: პოდკასტები, ვებინარები და ვიდეო გაკვეთილები და ა.შ.. ყოველივე ეს, ბიუჯეტირების საწყისებიდან ინვესტირების სტრატეგიაში ჩაღრმავებამდე, სწავლის პროცესის კომფორტულად, საკუთარი საჭიროებების შესაბამისად დაგეგმვის შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, არჩევანის გაკეთებისას ყურადსაღებია, რომ ინფორმაციის წყაროები სანდო და განახლებული იყოს.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ფინედუ“-ს პლატფორმის გამოყენება (www.Finedu.gov.ge), რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმართება და შესაბამისად, მასზე სანდო და სასარგებლო ინფორმაციაა თავმოყრილი.

**ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღების არხები, ცნობიერების ასამაღლებელი პროგრამები**

ხშირად ფინანსურ წიგნიერებას სტრუქტურირებული წიგნიერება უდევს საფუძველად. სკოლები, კოლეჯები და უნივერსიტეტები მოსახლეობას ფულის მართვის, ეკონომიკის, პირადი ფინანსების მართვის შესწავლის შესაძლებლობას აძლევს. ფორმალური განათლების გარდა, არაერთი კომერციული თუ საჯარო დაწესებულება, თავისი სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამებით, ფართო საზოგადოებას ფინანსური წიგნიერების ასამაღლებელ არაფორმალურ პროგრამებსაც სთავაზობს.

**რჩევები პროფესიონალებისაგან**

სხვადასხვა ცხოვრებისეული სიტუაციის, მაგალითად, საპენსიო ასაკისთვის მზადების, ინვესტირების, უძრავი ქონების შეძენის დაგეგმვის დროს, ზოგჯერ რთული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაა აუცილებელი, რაშიც პროფესიონალთა დახმარება მეტად სასურველი და სასარგებლოა. მეტიც, ფინანსური პროდუქტების განვითარების კვალდაკვალ, პროფესიონალებისგან მიღებული უახლესი ინფორმაციით ცოდნის განახლება და სასიკეთო სიახლეების ჩვენთვის სასარგებლოდ გამოყენებაა შესაძლებელი.

**ინფორმაციის მიღება და სწავლა სოციალური ქსელების საშუალებით**

გამოცდილების გაზიარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. შესაძლებელია, სოციალურ ქსელებში არაფორმალურმა თუ სტრუქტურირებულ ჯგუფებში ურთიერთობამ, ფინანსური მართვის ახალ პერსპექტივებს გვაზიაროს.

სხვების ფინანსური გამოწვევებისა თუ წარმატებებისა გააზრება, შესაძლოა, ჩვენთვის პრაქტიკული ცოდნის მომცემი და კარგი მაგალითი აღმოჩნდეს. მეტიც, სოციალურ ქსელებში გამართული დისკუსიებიდან ის ახალი ფინანსური ინსტრუმენტები, პროდუქტები ან სტრატეგიები შეიძლება გავიცნოთ, რომელთა შესახებ მანამდე არც კი გვსმენია.

„ფინედუ“-ს სოციალური ქსელები ამ მხრივაც მრავალ შესაძლებლობას იძლევა.

## დასკვნა

როგორც ზოგადად განათლების, ისე ფინანსური განათლების დონის ამაღლება გრძელვადიანი პროცესია. არის მიმართულებები, რომლებშიც შედეგი შედარებით მოკლე დროში მიიღწევა, მაგრამ ძირითადი პროცესი ზრუნვას და რესურსს ხანგრძლივად მოითხოვს.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარების მაღალი ტემპი  და ახალი ფინანსური შემოთავაზებები თანამედროვე ადამიანს მრავალფეროვანი გამოწვევების წინაშე აყენებს. მათ დასაძლევად გასატარებელი ღონისძიებები რეგულარულ გაფართოებას და განვითარებას საჭიროებს.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს მოსახლეობის განათლების  მიმართულებით საქართველოს ეროვნული ბანკი პარტნიორ ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ერთად უკვე მრავალ წარმატებულად დასრულებულ თუ მიმდინარე პროექტს ითვლის, გაცილებით მეტი მხარისა და რესურსის ჩართულობა საჭირო და სასურველია.

ფინანსური განათლების აქტივობებში მონაწილეობა საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორიდან ნებისმიერი დაინტერესებული მხარეს შეუძლია. თანამონაწილეობა კი სხვადასხვა საშუალებითაა შესაძლებელი: ფინანსური თუ ადამიანური რესურსით, საინფორმაციო მხარდაჭერით და ა. შ..

დაბოლოს, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს მთელ მსოფლიოში ფინანსური წიგნიერება შეუცვლელი უნარია. ის, ფინანსური სიჯანსაღის მოპოვების გარდა, ადამიანს აძლიერებს,  დამატებით სტრესს არიდებს და უსაფრთხოების განცდას ანიჭებს, რაც შემდეგ ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობაზე დადებითად აისახება. შედეგად, ქვეყანაში ფინანსური წიგნიერების დონის ზრდით, ჯანსაღ ეკონომიკურ გარემოზეც ვზრუნავთ.

WWW.TPDC.GE